სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთ

კვირა, 7 ივლისი 1918 წ.

ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ღირს: 1 თვით 9 მანეთი (ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერა კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, [illegible] ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ, მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 140 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 140

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭო და სასამართლო გლოვით აუწყებს ქართველ ერს, რომ ამა თიბათვის 27 მამა ანტონის მარტყოფელის მონასტერში ღვთით მიიცვალა უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოზ პატრიარქი სრულიად საქართველოისა

კ ი რ ი ო ნ II

მისი უწმინდესობის ნეშთს გამოასვენებენ ანჩისხატის ტაძრიდან კვირას, მკათათვის 7 ს სწორედ დილის 9 ნახ. საათზე. წირვა. ანდერძი და დაკრძალვა იმავე დღეს სიონის ტაძარში.

ულრმესის მწუხარებით გულ მოკლულნი: მეუღლე ელენე (ევსევია) ნაკაიძისა, დედა ქრისტინე ბერიძის ასული ნაკაიძისა, ძმა ვლადიმერ ნაკაიძე, დები: ათინო ხომერიკისა ლიუბი ურუშაძისა, პატკუ (ნინა) ბოლქვაძისა, რძალი ნიფო ნაკაიძისა შვილებითურთ, სიძეები: ლავრენტი ხომერიკი, სოლომონ ბოლქვაძე და ხარიტონ ურუშაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

სერგო გიორგის ძე ნაკაიძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც დღიდან ომის გამოცხადებისა მსახურებდა ქართველთ ცხენოსან პოლკში. გასული წლის 8 მარტს ოსმალების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის შემდეგ სხვებთან ერთათ გვეგონა, რომ ტყვეთ იქმნა წაყვანილი, მაგრამ დაბრუნებულ მისი ამხანაგების სიტყვით ის თავგანწირული ბრძოლის შემდეგ მსხვერპლათ დაცემულა. წირვა და პანაშვიდი დანიშნულია კვირას 7 ივლისს ქალ. ქიათურის ეკლესიაზე. (2—2)

ხიდისთავის რაიონის სოც.-დემოკრატიული კოლექტივი ღრმად დამწუხრებული აუწყებს ამხანაგებს, რომ 5 ივლისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ხიდისთავში, გარდაიცვალა სახალხო მასწავლებელი ძვირფასი ამხანაგი

სერაპიონ სპირდონის ძე რამიშვილი.

დაკრძალვა მოხდება ჩოხატაურში 9 ივლისს. (1—1)

ჩოხატაურის რაიონის სოც. დემოკ. კოლექტივი ულრმესი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს კოლექტივის თავმჯდომარის

სერაპიონ სპირდონის ძე რამიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ჩოხატაურში 9 ივლისს. (1—1)

დასავლეთ საქართველოს მოწაფეთა კავშირის ჩოხატაურის გამგეობა გულის ტკივილით აუწყებს ამხანაგებს გამგეობის წევრის

სერაპიონ სპირდონის ძე რამიშვილის

უდროოდ გარდაცვალება. დასაფლავება ჩოხატაურში 9 ივლისს. ვსთხოვთ ამხანაგებს თავის დასწრებით პატივი სცენ მიცვალებულის ხსოვნას. (1—1)

ჩოხატაურის ორკლასიანი სასწავლებლის კორპორაცია გულითადი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, ამავე სასწავლებლის გამგის

სერაპიონ სპირდონის ძე რამიშვილის

მოულოდნელათ გარდაცვალებას. (1—1)

გულდამწუხრებული საბედა, არუთინა, გიორგი მაშო, ნინა არტუა ღ არშაკა აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და ამხანაგებს ბრძოლის ველზედ დუშეთის მაზრაში ბალშევიკებთან ბრძოლაში ტრაღიკულათ დაღუპვას—პირველნი შვილის მეორენი ძმის და მესამენი სიმამრიშვილის

სარქის არუთინის ძის მარტიროსოვის

გამოსვენება მოხდება № 41 ლაზარეთიდან დღეს 7 ივლისს საათის 10-ზე დაკრძალვა ვერის გრიგორიანთა სასაფლაოზე.

ვერის რაიონის სახალხო გვარდიელთა შტაბი აუწყებს ამხანაგებს და თანამგრძნობთ, რომ დუშეთის მაზრაში ბალშევიკებთან ბრძოლის დროს ტრაღიკულათ დაიღუპა სახალხო გვარდიის წევრი

სარქის არუთინის ძის მარტიროსოვი

გამოსვენება მოხდება დღეს, კვირას 7 ივლის დილის 10 საათზე მე-41 ლაზარეთიდან. დაკრძალვა ვერის გრიგორიანთა სასაფლაოზე.

გერმანიის საიმპერატორო დელეგაციას თან მოყვა აგრეთვე

სამეურნეო განყოფილება

რომლის ბიურო მოთავსებულია გრიბოედოვის ქ. № 18-ში.

ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე (კვირა დღეებს გარდა) დილის 11—12 ნახ. საათამდე. (4—2)

კვირას. 7 ივლის, საღამოს 7 საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია

„განათლების" საზოგადოების არაჩვეულებრივი კრება

განსახილველი საგანია: ქალთა საოსტატო სემინარიის გადაცემა მთავრობისათვის

მიწის საკითხი და უცხოელები

საერთაშორისო უფლების ძალით, უცხოელებს იგივე უფლება აქვთ ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რაც აღნიშნულ ქვეყნის მოქალაქეთ. მხოლოდ ზოგიერთი უკულტუროთ ცნობილი ქვეყნები შეადგენენ გამონაკლისს. ასეთია სპარსეთი, ოსმალეთი და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოები, რომლის საზღვრებში უცხოელებისათვის განსაკუთრებული სასამართლოებია მოწყობილი და განსაკუთრებული კანონმდებლობა მოქმედობს.

ეტყობა, ზოგიერთი ბარონები და ჩვენებური ვექილებიც ასეთი ადლით ზომავენ საქართველოს.

გაზეთ „ვოზროჟდენიეში" მოთავსებულია ცნობა კურლიანდიის მოქალაქე ვინმე ბარონის უნგერნ შტენბერგის შესახებ. ამ პატივცემულ გვამს გერმანულ მისიის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს: აჯამეთის ანანოვისეულ მამულის ერთი მონაწილეთაგანი ვარ და გთხოვთ იშუამდგომლოთ აჯამეთის მამულის ჩამორთმევა შეაჩეროთო.

ასეთივე შუამდგომლობა აღუძრავთ აგრეთვე აჯამეთის მამულების მონაწილე ინგლისელებს, როგორც იგივე „ვოზროჟდენიე" გვაუწყებს.

ეჭვი არ არის, ამ პატივცემულ მოქალაქეთა მაგალითს მიბაძავენ მრავალი სხვა უცხოელები; ჩვენი მემამულეებიც ადვილათ იშოვნიან ისეთ „მონაწილეთ", როგორც ოდესღაც ჩიჩიკოვი იძენდა „მკვდარ სულებს" და არა გვგონია, ასეთს მახინაციებს ჩამოსართმევი მამულები კიდევ გადაურჩეს სადმე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბევრი ჩიჩიკოვი და ქვეყნის მოღალატე წამოყოფს თავს და აგრარულ კანონის ამ გზით გაუქმებას შეუდგება. მაგრამ ამ ჩიჩიკოვებმა და მოღალატეებმა უნდა იცოდენ, რომ ჩვენი ქვეყანა სპარსეთი არ არის, რომ ყველა მოსულმა თავისი კანონი და პრეტენზიები მოიტანოს თან. ამიტომ არავის არ აქვს ნება მოითხოვოს მამულის ჩამორთმევის შეჩერება იმ საბუთით რომ ის უცხოელია და ჩამოსართმევ მამულის მონაწილე. მამული ჩვენი კანონისამებრ ჩამოერთმევა მემამულეს, ხოლო უცხოელ მონაწილეს საერთაშორისო ნორმების მიხედვით განსაზღვრული სასყიდელი მიეცემა. ასეთია კანონი და ამიტომ ტყუილ-უბრალოთ ნურავინ შეიწუხებს თავს. მით უფრო საჭიროა სიფრთხილე ამ ანარქიის და გლეხთა უკმაყოფილების ხანაში, როცა ყოველგვარ წინდაუხედავ ნაბიჯს შეუძლია საქმის გართულება და ნორმალურ ცხოვრების არევ დარევა.

იმედია, ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევენ ზოგიერთი უცხოელები და განსაკუთრებით კი ჩვენი თანამემამულეები, რომელნიც სხვადასხვა გვარი ხრიკებით ცდილობენ აგრარულ კანონის გაუქმებას.

პ რ ე ს ა

„საქართველო" № 131-ის მეთაურში სწერს:

„მთავრობის შეცთომები აზიანებს ჩვენს ეროვნულ საქმეს. მაგრამ ამ შეცდარი პოლიტიკის გამოსწორება ისეთი ოპერაციით არ უნდა ვცდილობდეთ, რომელსაც შესაძლოა მთავრობასთან ერთათ მთელი სახელმწიფოს დაღუპვა მოჰყვეს".

ეს საღი ოპოზიციის აზრია და ჩვენ მხოლოდ ისღა გვეთქმოდა, რომ საჭიროა ასეთი ოპოზიციის ყოველი კრიტიკული შენიშვა სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით განხილვა და კარგის მიღება, ხოლო უვარგისის უარყოფა. მაგრამ... საქმეც ის არის, რომ ეს საღი აზრი „საქართველოს" გასვრილი კუდის დასაფარავათ დასჭირდა. იმავე წერილში ზევით სწერია:

„ხმებს ავრცელებენ, რომ ამა თუ იმ მაზრაში მომხდარ ამბოხებას ესა თუ ის ჩვენი პარტიის წევრი მეთაურობს და სხვ. მაგრამ რომ ეს ურცხვი დემაგოგიაა, ყველამ უწყის. მათ კარგათ უწყიან, და ყველამ კარგათ იცის, რომ მეამბოხე და აჯანყების მომხდენი შეიძლება იყოს მენშევიკი, ბალშევიკი, სოციალისტ-რევოლიუციონერი, ფედერალისტი, მაგრამ არ შეიძლება იყოს ეროვნულ დემოკრატი".

მათი წევრების საქმეებს და მონაწილეობას აჯანყებებში თუ მის გარეშე დგომას, გამოძიება დაგვანახვებს. ხოლო მათ თეორიულ დებულებაში იმის შესახებ, თუ ვის შეუძლია აჯანყების მოწყობა და ვის არა, ცოტაოდენი შესწორება უნდა შევიტანოთ. ეს თეორია მრუდეა და ცალმხრივი; მენშევიკებს შეუძლიათ აჯანყების მოწყობა, მარა მხოლოდ რევოლიუციური აჯანყების, ეროვნულ-დემოკრატებს კი არა. სამაგიეროთ ეროვნულ დემოკრატებს შეუძლია აჯანყების მეთაურობა კონტრ-რევოლიუციური მიზნებისთვის—მენშევიკები კი ამ შემთხვევაში მათ სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევენ. აი ასე გახლავთ საქმე. ხოლო დღეს მენშევიკებს აჯანყებული საქმე არ აქვთ, ისინი პირიქით აღმშენებლობითი მუშაობისკენ მიილტვიან და ხელის შემშლელ კონტრ-რევოლიუციურ აჯანყებებს ებრძვიან. ეროვნული დემოკრატები კი რევოლიუციის წყალობით მოპოვებულ დემოკრატიზმს ვერ ეგუებიან და უკან უკან ჩოჩვას აპირებენ, თუ მოახერხეს უკან გადახტომაზედაც მზათ არიან. აი ამ უკან ჩოჩვას—ეწოდება რეაქციონერობა, ხოლო უკან ხტომას, რეაქციონური აჯანყება.

„სახელმწიფოებრივი პარტიის" დარქმევით ერ.-დემ. ამ მოვლენას ვერ დაფარავენ.

გაუგებარია!

(თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის დადგენილების გამო).

ქრონიკის შემდგენილმა გადმოგვცა: სასურსათო კომიტეტმა თვითმკვლელობა მოახდინა, თავისი თავი დაშლილათ გამოაცხადაო.

ყოველგვარი თვითმკვლელობა მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე, მაგრამ სასურსათო კომიტეტის თვითმკვლელობის ამბავმა, ცოტა არ იყოს, სიამოვნება მაგრძნობინა. ვიფიქრე: მოგვშორდა ის არსება, რომელიც, მართალია, თავის გაჩენის პირველ ხანებში სასარგებლო იყო, მაგრამ შემდეგში მაჯლაჯუნასავით დააწვა თავზე საზოგადოებას, განსაკუთრებით მის მშიერ ნაწილს მეთქი. მიხაროდა.

მაგრამ, როცა თვით დადგენილებას გავეცანი, გაკვირვებული დავრჩი: მომაგონდა ლათინური ენის მასწავლებელი, რომელსაც ვერ წარმოედგინა თუ ულათინუროთ შეიძლებოდა ადამიანათ გახდომა. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტიც ვრცლათ აგვიწერს თავის მოღვაწეობის ისტორიას, გვამცნებს, რომ თურმე, ამ კომიტეტის მოღვაწეობას უნდა მიეწეროს, რომ მათ შესამჩნევად შეუწყვეს ხელი შიმშილობის თავიდან აცილებას, როგორც ამიერ-კავკასიის ცენტრში—ტფილისში, აგრეთვე ბევრ პროვინციალურ ქალაქებში, რომლებიც სამძიმო მდგომარეობიდან მშვიდობიანათ გამოვიდენ".

ისტორიკოსობა ჩვენი საქმე არ არის, ამიტომ არ შევუდგებით სასურსათო ორგანიზაციების ღვაწლის ისტორიულათ განხილვას. ჩვენ გვაინტერესებს აწმყო და მომავალი. და ჩვენ ვეკითხებით თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს: ის დღეს რას აკეთებს ისეთს, რაც საზოგადოებისთვის სასარგებლოა? ის განზრახ გაურბის პასუხს და ამიტომ ჩვენ ვუპასუხებთ დასმულ კითხვაზე: ის არაფერს არ აკეთებს. პირიქით, ხელსაც უშლის მცხოვრებთ: თითონ მას არ აქვს შეძლება სურსათი შეიძინოს, სხვებს კი ხელს უშლის. და ამის შედეგი ის არის, რომ სპეკულიანტებს აუარებელი პური შემოაქვთ, კერძო პირს კი ხელს უშლიან.

ასეთია მდგომარეობა და ვისაც ცოტა გამჭრიახობა აქვს, უნდა გაიგოს, რომ სასურსათო კომიტეტების არსებობას არავითარი აზრი არ აქვს. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი კი ადგენს: „გაუქმდეს ყველა ის სარაიონო კომიტეტები, რომლებიც ამ ბოლო ხანებში კანონიერ კრებებს არ ახდენდენ და არაფრით თავი არ გამოუჩენიათ".

ეს არის კითხვის გადაწყვეტა? განა საქმე კანონიერ კრებების მოხდენაშია და თავის გამოჩენაშია? თუ არ იკრიბება და არ მოქმედებს ამისთვის საჭიროა კარგ ნიადაგზე დაყენება, თუ დახურვა და გაუქმება? ამ პრინციპით პარლამენტმა სულ უნდა გააუქმოს სამინისტროები, როცა დაინახავს, რომ მინისტრები რაგინათ არ მუშაობენ!

საგუბერნიო კომიტეტს დაუდგენია აგრეთვე: გაუქმდეს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი, დარჩეს საგუბერნიო გამგეობა სასურსათო სამინისტროს რწმუნებით მიმდინარე საქმეების გასაძღოლათ და თანდათანობით საგუბერნიო და სარაიონო კომიტეტების სალიკვიდაციოთ ამ საქმისთვის, კომიტეტების წევრთა შორის არჩეულ სალიკვიდაციო კომისიასთან ერთად.

პირდაპირ გაუგებარია ასეთი დადგენილება: თუ კომიტეტი უქმდება უნდა გაუქმდეს კომიტეტის აღმასრულებელი ორგანო-გამგეობაც. გამგეობამ კი აუქმებს კომიტეტს და ხტოვებს თავისთავს. რისთვის? მიმდინარე საქმეების გასაძღოლათ და ლიკვიდაციის მოსახდენათ სალიკვიდაციო კომისიასთან ერთადო.

ჩვენ გადაჭრით მოვითხოვთ საკითხის სათანადოთ დასმას. დღესვე უნდა გაუქმდეს სასურსათო კომიტეტები და დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს ყველა ის აკრძალვა, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებში საქონლის თავისუფლათ გადატან გადმოტანას კრძალავს.

პურის მონოპოლია ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია, მაგრამ მონოპოლიის გასატარებლათ სულაც არ არის საჭირო არსებული ორგანიზაცია. ეს ერთი. მეორეც ის, რომ თუ მონოპოლიის გატარება არ შეგვიძლია მაშინ არც უნდა მივმართოთ ამ ზომას, თორემ მივიღებთ სწორეთ იმ შედეგს, რომელსაც ჩვენი სასურსათო კომიტეტების წყალობით მივაღწიეთ.

ოსი ნაციონალისტები

(მღვდ. ჯიოევის ნალაპარაკევის გამო).

სხვა დროსა და პირობებში მღვდ. ჯიოევის აზრებს ჩვენ არ მივაქცევდით ყურადღებას: მართლაც განა ცოტაა ქვეყანაზე ისეთი ხალხი, რომელიც თვითმპყრობელობის ერთგულ სამსახურში გაჭაღარავებულა და იმავე დროს ერთგვარი აზრიც აქვს ამ წუთი სოფელზე? მაგრამ მღვდელი ჯიოევი ოსეთის ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ყოფილა და, როგორც ოსეთის „მთავრობის" წარმომადგენელს, „ოფიციოზ" „ბორბა"-ში მოუთავსებია თავისი საუბარი. ჩვენც ანგარიში უნდა გაუწიოთ ამ „ოფიციალურ" პირის „ოფიციალურ" საუბარს.

რას გვასწავლის პატივცემული სულიერი მამა?

პირველი სათნოება, რომელიც მას აღმოუჩენია, ეს არის თურმე ის „რომ ქართველებსა და ოსებს შორის სრული ერთსულოვნობაა და სხვანაირათ არც კი შეიძლება იყოს იქ, სადაც ოსების და ქართველების სახლები ერთმანეთზეა მიდგმული, სადაც საზიარო ტყითა და საბალახოთი სარგებლობენ"-ო.

რისთვის დასჭირდა ასეთი რამის აღმოჩენა სულიერ მამას? ეს ხომ ჩვენც კარგათ ვიცოდით, რომ ქართველს და ოს გლეხს არაფერი აქვთ ერთმანეთში გასაყოფი. და თუ ეს ასეა, როგორ გავიგოთ იმავ ჯიოევის შემდეგი განცხადება: „მიუხედავათ იმისა, რომ სამხრეთი და ჩრდილოეთი ოსეთი ადმინისტრატიულათ მოშორებულია ერთმანეთზე, მიუხედავათ იმ ბუნებრივ დაბრკოლებისა, რომელიც ორათ გლეჯს ამ ხალხს, დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება უფრო მჭიდრო ეროვნული კავშირი, უფრო ძმური განწყობილება, ვინემ ორ ოსეთს შორის".

მაინც ვერ გავიგეთ, ვის უფრო უყვართ ერთმანეთი: ოს გლეხს და მის მეზობელ ქართველ გლეხს, თუ სამხრეთ ოსეთს და ჩრდილოეთ ოსეთს, რომელთა შორის დიდი ბუნებრივი დაბრკოლებაა აღმართული კავკასიის ქედის სახით?

ჯიოევის დიპლომატიურ ენას რომ თავი დავანებოთ კითხვა ასე უნდა დავსვათ: სამხრეთ ოსეთის გლეხობა ქართველების გვერდით სცხოვრობს და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ნაწილს შეადგენს. ჯიოევს და მისთანებს კი, რომლებმაც წუნარის ყრილობაზე მოიყარეს თავი, თვალი ჩრდილოეთ კავკასიისაკენ უჭირავთ და ორი ოსეთის შეერთებას ცდილობენ. მაგრამ თუ ჯიოევს დავუჯერებთ, წერეთლის რეზოლიუციის მიუღებლობა სულაც არ ამტკიცებს ბალშევიზმს ან სეპარატიზმის გამარჯვებას. ეს თურმე მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთს, რომლის წარმომადგენელია მამა ჯიოევი, არაფრის გადაწყვეტა არ შეუძლია, სანამ თავის გადამჭრელ სიტყვას არ იტყვის ჩრდილო ოსეთი.

ასე დიპლომატობს მღვდელი ჯიოევი. მას ალბათ გაუგონია, რომ დიპლომატი გაუგებარ ენაზე უნდა ლაპარაკობდეს და აქედან ის დასკვნა გამოუტანია, რომ რასაც ის, ჯიოევი იტყვის, ვერავინ გაიგებს თითონ იმის გარდა.

დიდათ სცდება მამა ჯიოევი!

და ამიტომ ტყუილ-უბრალოდ უქადაგებს ის დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას: „მთავრობის მხრით მტკიცეთ და გადაჭრით უნდა იყოს ნაჩვენები, რომ სანამ არსებობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მანამ ოსეთში ადგილი არ ექნება მემამულეებს. ამ შემთხვევაში გაქრება ოსებში უნდობლობის მთავარი მიზეზი და ისინი ფრთხილი და საზრიანი მოპყრობის შემდეგ თითონ დააბრუნებენ იარაღს".

მაშ დღემდე ჩვენ ისე ვექცეოდით ოსებს, რომ მათ შიში ჰქონდათ მემამულეების დაბრუნების? ჩვენი ამხანაგები მაჩაბელი, კეცხოველი, ყაზიევი და სხვები იმიტომ მოუკლავთ, რომ იმათი მოქმედება მემამულეების სამსახურს ეგონებოდა ოსებს?

ვთქვათ, ჩვენმა დემოკრატიულმა მთავრობამ ყურათ იღო „სოციალისტ" მღვდლის ქადაგება და ოსებს მემამულეები არ დაუბრუნა ბატონებათ, მაგრამ სამხრეთი ოსეთი ხომ მაინც იძულებულია ჩრდილოეთის გადამჭრელ სიტყვას ელოდოს?

და აკი ჯიოევი მედიდურათ გვაუწყებს: დამშვიდდეს ქვეყანა და ოსები თითონ მიხვდებიან საქართველოს რესპუბლიკაში შესვლის საჭიროებას, თუ დარღვეული არ იქნება მჭიდრო ეროვნული და კულტურული კავშირი ჩრდილოელ ძმებთანო.

მაშ ოსეთი გამოეყო კიდეც დემოკრატიულ საქართველოს? თუ არ გამოეყო, როგორ შეიძლება შეერთებაზე ლაპარაკი? რაკი ასეთი დიპლომატი ყოფილა ჯიოევი, ალბათ სახელმწიფო უფლების სპეციალისტიც იქნება. ამიტომ ვთხოვთ აგვიხსნას: როგორ შეუძლია ერთი სახელმწიფოს ნაწილს მეორე სახელმწიფოს ნაწილთან მჭიდრო ეროვნული კავშირი დაიჭიროს?

ჩვენ საჭიროთ ვთვლით გავაფრთხილოთ ოსი ხალხი და მისი დემოკრატია: ნუ აყვებიან ავანტიურისტ ნაციონალისტებს. აიღონ მაგალითი ქართველ დემოკრატიისაგან: ქართველები ერთგულათ ეწეოდენ საერთო შრომას რუსეთის დემოკრატიასთან ერთად და სანამ რუსეთმა თვით არ მიგვატოვა, ჩვენ არსად წასვლა არ გვიფიქრია. ოს ნაციონალისტებს კი სურთ ოსი დემოკრატია ავანტიურაში ჩაბან. მერე სასარგებლოა ოსი დემოკრატიისათვის ქართველ დემოკრატიას მოშორდეს და მღვდლების, ყოფილ სტრაჟნიკების და ბალშევიკების ფეხის ხმას აყვეს?

ეს ისეთი საქმეა, რომელსაც ასჯერ გაზომვა უნდა, სანამ ერთხელ გადაიჭრებოდეს.

ერთ ავანტიურაში უკვე ჩაითრიეს ოსმა ნაციონალისტებმა და ბალშევიკებმა ჯავის ხეობა: ეს იყო მარტში, როცა მთელი ცხინვალი გაძარცვეს ნაძირალებმა და მოხუცი რევოლიუციონერი კეცხოველი აწამეს. მეორე ავანტიურას ახლა ამზადებენ.

ჩვენ პატივს ვსცემთ ოსი ხალხის ეროვნულ თავისებურობას, მაგრამ საჭიროთ ვთვლით განვაცხადოთ; ეროვნული საქმე მთელი ხალხის საქმეა და როცა ამ წმინდა საქმეს მღვდლები და ყოფილი სტრაჟნიკები უდგიან სათავეში, ის მახინჯ სახეს ღებულობს და დარბევა-აწიოკებით თავდება.

მოიგონეთ ცხინვალი და ერიდეთ პროვოკატორ ნაციონალისტებს.

კ ა ნ ო ნ ი

სიკვდილით დასჯისა ზოგიერთ უმძიმეს ბოროტმოქმედებისათვის

1. დროებით მიღებულ იქნეს სიკვდილით დასჯა დახვრეტით, როგორც უმაღლესი საფეხური სასჯელისა; იმ პირთათვის, ვინც ჩაიდენს რომელსამე ქვემორე აღნიშნულ, უმძიმეს ბოროტმოქმედებას.

1) ვინც სახელმწიფო მოღალატეობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაიდენს დემოკრატიულ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ (მუხ. 108, 109, 110 და 119 სისხლის სამართლის დებულებისა, ტომი 15 კან. კრებ., გამოც. მე 4).

2) ვინც შეეცდება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წეს წყობილების შეცვლას შეიარაღებულის ძალით (მუხ. 100 სისხლის სამართ. დებულ., რუსეთის დროებით მთავრობის 1917 წლის 4 აგვისტოს დადგენილების რედაქციით. „დროებითი მთავრობის უწყება" 1917 წ. № 127).

3) ვინც მონაწილეობას მიიღებს აშკარა აჯანყებაში დაწესებულ მართველობის წინააღმდეგ (მუხ. 263 სასჯელთა დებულებისა, ტომი 15 კანონ. კრებულ.).

4) ვინც ჩაიდენს წინასწარ ან უცბათ მოფიქრებულ მკვლელობას (მუხ. 1454 და 1 ნაწ. 1455 სასჯელთა დებულებისა, ტომი 15).

5) ვინც განზრახ, ცეცხლის წაკიდებით ან რაიმე სხვა გზით, გაანადგურებს ან გააფუჭებს სამხედრო მასალას ან საზოგადოთ იმას, რაც წარმოადგენს თავდასხმის თუ თავდაცვის საშუალებას ან სათადარიგოთ დამზადებულ სურსათს გინდ ფურაჟს, ან ვინც განზრახ ცეცხლს წაუკიდებს სახელმწიფო გინდ საზოგადო შენობას.

6) ვინც განზრახ გაანადგურებს ან დიდ ზიანს მიაყენებს ტელეგრაფს, ტელეფონს, რკინის გზის ლიანდაგს, ვაგონებს, რკინის გზის ან ნავთსადგურის შენობას ან რაიმე მათ მოწყობილობას, ან გასაფრთხილებელ ნიშნებს, რომელიც დაწესებულია რკინის გზით ან გემით უხიფათო მიმოსვლისთვის, თუნდაც ბოროტმოქმედს განზრახვა არ ქონდეს საფრთხეში ჩააგდოს რკინის გზით თუ გემით მიმავალი ხალხი ან გადასაზიდი საქონელი, ან ვინც განზრახ მოსპობს ან გააფუჭებს სამრეწველო თუ სამთა მადნო დარგის ისეთ მოწყობილობას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკისათვის.

7) ვინც გაძარცვავს ან იარაღით თავს დაესხმის ვისმე და წაართმევს ქონებას (Грабежъ и разбой).

8) ვინც იმ დროს, როდესაც საქართველოს ომი ექნება სხვა სახელმწიფოთაგანს, რომელიც აღნიშნულია რუსეთის დროებით მთავრობის 1917 წ. 12 ივლისის დადგენილებაში („დროებითი მთავრობის უწყება" 1917 წ. № 103).

II. ამ კანონით დაისჯება ყველა, ვინც რომელსამე ზემოთჩამოთვლილ ბოროტმოქმედებას ჩაიდენს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

III. ეს კანონი შედის ძალაში 1918 წლის 26 მაისიდან.

დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

6 ივლისი.

ბერლინი. დასავლეთის ფრონტი. იპრის აღმოსავლეთით მტრის ძლიერი შემოტევა მოვიგერიეთ, გუშინ დილით სომმის ორივე ნაპირებზე საარტილერიო მზადების შემდეგ ინგლისელებმა შემოტევა დაიწყეს, ჩრდილოეთის ნაპირზე მტრის იერიში მარცხით დამთავრდა. სომმის სამხრეთით მტერი შემოიჭრა სოფ. გაბელში. ამ სოფლის აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ვილლერ ბრეტონის აღმოსავლეთით მტერს დავახევინეთ წინანდელ პოზიციებამდე. საღამოთი ბრძოლამ ინტენსიური ხასიათი მიიღო ყველა ფრონტებზე. მდ. ავგასა და ენის ორივე ნაპირებზე გაძლიერებული საომარი მოქმედებაა.

სტამბოლი. ყველა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

პარიზი. წარსული დღე ღამის განმავლობაში ორივე მხრით ძლიერი საარტილერიო სროლა იყო მდ. ენის სამხრეთით. ბესსიარის დასავლეთით ფრანგებმა წინ წაიწიეს და ტყვეები წამოიყვანეს.

ალმოსავლეთის ფრონტი. დოირანის ფრონტზე მონასტირის ახლოს ფრანგებმა არტილერიიდან დაუშინეს ბოლგარების ბატარეას. ფრანგების ბატარეამ აქ ორი ბოლგარების აეროპლანი ჩამოაგდო.

ბერლინი. გერმანიის ოფიციალური ცნობა. ამერიკაში ახლა ისეთივე ხმები ვრცელდება გერმანიის წინააღმდეგ, როგორც შეთანხმების სახელმწიფოებში წინეთ ვრცელდებოდა. თითქოს ეს სახელმწიფოები იბრძოდენ დაჩაგრული წვრილი ერებისათვის. ამერიკაში მყოფი ემიგრანტ პოლონელები ძალით გაჰყავთ ჯარში. მათ ეუბნებიან, რომ თქვენ უნდა იბრძოლოთ დამოუკიდებელი პოლონეთისათვის. საქმის ვითარებას არ აცნობენ. პოლონურ გაზეთებს არ აკითხებენ.

ბერნი. გავასის სააგენტო იტყობინება, რომ სოციალ დემოკრატიული პარტიის რამდენიმე განყოფილებები მოითხოვენ ყოფილ მინისტრის ტომას სამართალში მიცემას. მას ბრალს სდებენ იმაში, რომ მინისტრობის დროს მინისტრ პრეზიდენტ რიბოსთან ერთად უარყო ავსტრიის წინადადება ზავის შეკვრის შესახებ. 23 ივლისისათვის სოც. დემ. პარტია პარიზში იწვევს კონგრესს, რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებენ სხვა ქვეყნის სოციალისტები და სადაც გარჩეული იქნება საერთაშორისო პოლიტიკის ხასიათის საკითხები.

უკანასკნელი ცნობები

სოხუმი (5 ივლისი)

ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. 126 კაცი ტყვე წამოვიყვანეთ. წავართვით 6 ზარბაზანი და 8 ტყვიისმფრქვეველი.

დუშეთი.

მთავარ შტაბს დეპეშით შემდეგს ატყობინებენ: სახალხო გვარდიამ და რეგულიარულმა ჯარმა დაიჭირეს დუშეთის მიდამოები. მათ შეუერთდა მაშველი ჯარი და სამხედრო მოქმედებას განაგრძობენ. მოწინააღმდეგე დრო გამოშვებით ზარბაზნებიდან ისვრის, მაგრამ უშედეგოდ. ჩვენმა ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩაყარა მოწინააღმდეგეთა ბანაკში. ბევრია დაპატიმრებული, მათ შორის დატყვევებულია ცნობილი პროვოკატორი ლადო ბერიძე, ეგრეთ წოდებული ბოლშევიკების მეთაურები გორელი, მედუქნე მურადოვი და რამოდენიმე ოსი და სხვა. ჩვენი ჯარი წინ მიიწევს.

ჯარის ზურგს უკან გლეხები უბრუნდებიან მშვიდობიან ცხოვრებას და მუშაობას იწყებენ.

ქუთაისი

ჯავშნიანი მატარებლის უფროსი ვ. გოგუაძე ქუთაისიდან შემდეგს იტყობინება: „ბრბომ" ჯავშნიან მატარებელს გზა გადაუჭრა ტყიბულის გზაზე, მაგრამ ზარბაზნების და ტყვიისმფრქვეველების გასროლის შემდეგ „ბრბო" გავფანტეთ; გაიქცენ მთებში, გზა ტყიბულამდე გაწმენდილია, ახლა ყველაფერი რიგზეა.

ქუთაისი

ქუთაისიდან სამხედრო მინისტრი შემდეგს იტყობინება:

„ტყიბულის მხრივ მიმოსვლა აღდგენილია. საზოგადოების კრებებზე დაადგინეს, რომ მეთაურებს მოგვცემენ. გენერალ სუმბათოვის ხელმძღვანელობით მიღებულია ზომები ლეჩხუმის ამბების ლიკვიდაციისათვის და ოსეთის სამხედრო გზის გასაწმენდათ. დღეს სამხრეთში მივდივარ.

ახალი ამბები

საქართველოს მთავრობამ სომეხთა ეროვნულ საბჭოს წინადადება მისცა 3 დღის განმავლობაში საქართველოდან გაიყვანოს ყველა სომხური სამხედრო ნაწილები. სურსათის მომწოდებელ კომიტეტს მთავრობამ განკარგულება მისცა ხსენებულ სამხედრო ნაწილებს სურსათი აღარ მისცეს. სომეხთა ეროვნულ საბჭომ ამის შესახებ პროტესტი განაცხადა, ვინაიდან საინტენდანტოს თავმოყრილი სამხედრო ქონება ყველა ადგილობრივ ეროვნებათა კუთვნილებას შეადგენს.

◆ თფილისის გუბერნიის კომისარის განკარგულებით კაპიტანი ფილიანი საქართველოს სამხედრო გზის დამცველ რაზმის უფროსის თანამდებობიდან დათხოვნილ იქნა. დაშლილ იქნა მისი რაზმიც.

◆ თანახმათ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისა ბენზინის საწყობების და ავტომობილების პატრონები ვალდებულნი არიან (მიუხედავათ ბენზინის რაოდენობისა) ორი დღის განმავლობაში წარუდგინონ ბენზინის შესახებ ცნობები გზათა მიმოსვლის სამინისტროს. ვინც არ შეასრულებს ამას პასუხს აგებს კანონის წინაშე და ბენზინიც უფასოთ ჩამოერთმევა.

◆ გაგრიდან მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას მოუვიდა სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციისაგან და ქალაქის საბჭოსაგან მისალმების დეპეშები.

◆ შრომის სამინისტრომ მოხსენება გაუკეთა მთავრობას, რომ დაარსებულ იქნას კომისია, რომელიც უმუშევარს რუსებს გაგზავნის რუსეთში.

◆ დაჭრა 5 ივლისს საღამოს 8 საათზე საკუთარ ბინაზე დიდი მთავრის ქუჩაზე № 34. არუთ ნოვშადიანმა დაჭრა თავისი ცოლი. დაჭრილი მოათავსეს მიხაილოვის საავათმყოფოში.

◆ ქურდობა 5 ივლისს რუსის ქუჩაზე მ. ალაჯიანის სახლეულო გაძარცვეს და წაიღეს 15.500 მანეთის საქონელი. ამის გამო ეჭვით დააპატიმრეს ა. ალამალიანი.

◆ ლექცია. კვირას 7 ივლისს, დილის 10 საათზე მუშათა კლუბის შენობაში მ ხაილოვის ქუჩ. № 65. პროფესიონალური კავშირი პროლეტარი „იგლი" აწყობს ლექციას შემდეგ თემაზე: გ. პლეხანოვი. ლექციას წაიკითხავს ა. აზატიანი. ბილეთების ფასი 2 დან 50 კაპეიკამდე.

◆ მატარებელი მოწაფეთათვის. ტელეგრაფის მოწყობის საქმის გამგემ ვ. სურგულაძემ მოახსენა გზათა მიმოსვლის მინისტრს, რომ ნატანებ-სამტრედიის შუა საჭიროა სამოწაფო მატარებელთა მიმოსვლის მოწყობა, რომ ლანჩხუთელ მოწაფეთ საშუალება მივცეთ სამტრედიის და ლანჩხუთის გიმნაზიებში ისწავლონ და არ მოუხდეთ მათ ამ გიმნაზიების პანსიონებში შესვლა. მინისტრმა ამ წინადადებას თანაგრძნობით შეხვდა.

◆ მცხეთის რაიონის კომისრად გ. კილურაძის ნაცვლად დაინიშნა შტ.-კაპ. პაიჭაძე.

მუშათა კლუბი ავლაბარში. დღეს დილის 11 საათზე ავლაბარში მე 5 სავაჟო გიმნაზიის შენობაში მოხდება მუშათა კლუბის და სახალხო უნივერსიტეტის განყოფილების გახსნა.

◆ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს თხოვნით პროფესიონალურ კავშირებში მომუშავეთა მოსამზადებელი კურსები გაიხსნება ცენტრალურ სახალხო უნივერსიტეტთან არა 5, არამედ 10 ივლისს. კურსებზე მიიღებიან პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენელნი.

◆ ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო გეორგი კარაჯიანის (ს. ტ არკომედ) „მოგონებანი წარსულიდან", სომხურ ენაზე. ფასი ერთი მან. წიგნი შეიცავს 64 გვერდს. იყიდება გამომცემელ ქეშიშევთან ვარანცოვის ძეგლის ახლოს და ყველა წიგნის მაღაზიებში.

◆ მუშათა კლუბში. კლუბის საშუალებათა გასაძლიერებლათ, დღეს შესდგება დიდი სახალხო სეირნობა.

◆ გ. ვ. პლეხანოვის სახელობის ფონდი. გ. ვ. პლეხანოვის სახელობის ფონდის გასაძლიერებლათ, შაბათს, 29 ივნისს, სახელმწიფო თეატრში მოგროვდა სულ 1319 მან. 20 კ. ამ ჯამში არ შედის ის ფული, რომელიც პლეხანოვის სურათების და წიგნების გაყიდვამ მოგვცა. თფ. სოც.-დემ. კომიტეტის მდივანი ვ. სინმურიძე.

პროვინციის ქრონიკა

გორი. მე-9 ქართვ. მსროლ. პოლკი უკვე გადმოვიდა გორში, ხალხი აღტაცებით ხვდება მამაც გმირების ჩამოსვლას, რომელთაც თავი ისახელეს ახალციხეში ყოფნის დროს სამშობლოსადმი სიყვარულით და თავი დაიცვეს როგორც თვითონვე, აგრეთვე ახალციხის მცხოვრებლებიც გადაარჩინეს თათრების ბრბოებისაგან აკლებას.

— გორის მაზრის სახალხო გვარდიელთა შტაბი ენერგიულათ შეუდგა მუშაობას, დაგზავნა მთელს მაზრაში მომუშავეები, რომ სასურველ ნიადაგზე მოეწყოს სახალხო გვარდიელთა ორგანიზაცია.

მოწოდება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქენო!

ჩვენს პატარა, კოპწია, ჯერ წელში გაუმართავ რესპუბლიკას ყოველი მხრიდან მტერი დაესხა და განადგურებას უქადის.

ამას შინაური არეულობაც ზედ დაურთეს შეგნებულმა შინაურმა მტრებმა და უგუნურმა სოციალისტებმა და ძირს უთხრიან რესპუბლიკას.

რადგან, შინაურ მტრებს, დემოკრატიული რესპუბლიკის ჩვენში გამაგრება, საბოლოოდ უკარგავს ძველი ბატონობის უკან დაბრუნების იმედს.

ხოლო უგნურ სოციალისტებს ჰგონიათ არევ დარევით ისინი სოციალურს რევოლუციას ახდენენ და ვერ შეუგნიათ, რომ ისინი თავ სი ანარქიული გამოსვლებით სჭრიან იმ ხეს დემოკრატიულ რესპუბლიკის რომელზეაც სოციალიზმი აღმოცენდება-გაიფურჩქნება. ესეთი არიან ჩვენში და რუსეთში კარგად ცნობილი ბოლშევიკები და მემარცხენე ესერებად წოდებული „მოღვაწენი", რომელთაც გარეშე მტრის წინ რევოლიუციონერ რუსეთის თავი მიწამდე დაახრევინეს წელში გასტეხეს...

ხოლო, შინ, ხალხი (დემოკრატია) ერთი მეორეს გასაჟლეტათ თოფით მიუსიეს;

მთლიანი რუსეთის დიდებული რევოლიუცია დააქუცმაცეს-დააჩიავეს, ხოლო თვით დემოკრატიული „რუსეთი ყვავყორანთა საძიძგნავ ლეშად გახადეს, რომლის ტანზე მრავალი და მრავალფეროვანი რესპუბლიკები აღმოცენდა თითქმის ყველა დაჭიანებულ ძირით. ამის შედეგია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაც, რომელიც ერთად-ერთია წმინდა დემოკრატიული და საღ ძირზე მდგომი...

ახლა ამ ჩვენს ნამდვილს სახალხო რესპუბლიკასაც შხამავენ, ჭიას უჩენენ ეს უებარი „სოციალისტები" და ისინი ვისაც არ მოსწონს—ხელს არ აძლევს ჩვენში დემოკრატიულ რესპუბლიკის დაფუძნება, ვისაც ენატრებათ ძველი წეს-წყობილების აღდგენა; ვინც მტერია დამოუკიდებელი (თავისუფალი) საქართველოსი—ვინც ძველებურად ბატონად ვეღარ იგრძნობს თავს თავისუფალ დემოკრატიულად მოწყობილ ჩვენს ქვეყანაში და იძულებული არიან ან გაგვეშორდენ, ან სტუმრებად დარჩენ ჩვენთან, ჩვენში... აი ყველა ესენი შეერთებული ძალითა და ხელით შეესივნენ დუშეთის, თიანეთის, გორის, რაჭა ლეჩხუმისა და სამაგრელოს მცხოვრებთ და ათას გვარი ცრუ ხმებით შეცდომაში შეიყვანეს და ხალხის ინტერესების დამცველი მთავრობისა და სახალხო გვარდიის წინააღმდეგ ააღელვეს და თოფით ხელში გამოიყვანეს. იმ მთავრობის, რომლის სათავეში დგას მოხუცი ნოე ჟორდანია, რომელიც ჩვენში პირველი მასწავლებელი და ხელმძღვანელია მუშათა პარტიისა, რომელმაც დაარსა მუშათა პარტია და მუდამ მის სათავეში იდგა და დღესაც დგას.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ვალია ხმა ამოიღონ და გამფანტონ ხალხის თავიდან ის სიცრუე, რომელიც შეგნებულმა და შეუგნებელმა ხალხის მტრებმა ხალხის გასაბრიყვებლად გაავრცელეს და ავრცელებენ დღესაც.— ეს მით უფრო საჭიროა დღეს, როცა ყანის ჭრა მუშაობის დროს, ხალხის მტრებმა მოყვარების წინააღმდეგ თოფი აალებინეს სოფლის მუშებს და ყანები დაუმუშავებელი რჩება, ხოლო შემოსული ნამუშევარი ყანები აუღებელია და იხრდება, ამ შიმშილობის დროს რაც მომავალში უფრო დიდს შიმშილსა და უბედურებას უქადის ხალხს.

დღეს როცა ტყვია-წამალი მტრის გასაგმირადაა საჭირო—ძმა ძმას უშენს და მტერს ახარებს...

ამ მიზნით დაარსდა დუშეთის მაზრის მცხოვრებთა დამხმარე კომიტეტი ქალაქ თბილისში, რომელიც მოგმართავთ თხოვნით შეძლებისა და გვარათ აღმოუჩინოთ მას დახმარება: პირადი დახმარებით (ცნობების მოწოდებით; ხალხში მუშაობით, სანდო, ხალხისათვის სასარგებლო კაცების გამოძებნით და სხვ.) ნივთიერად...

დუშეთის მაზრის მცხოვრებთა დამხმარე კომიტეტი დარწმუნებულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, რომელთაც შეუგნიათ და შეიგნებენ, თუ რა უბედურებას დაატეხს შეცდომაში შეყვანილი ხალხი თავის თავს და ნორჩ რესპუბლიკას, გამოეხმაურებიან მას და მოაწვდიან თავის დახმარებას რითაც ვის შეუძლიან.

თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის საფუძველი ორგანიზაციულათ შეკავშირებული ხალხია სოფლათ და ქალაქათ.

მაშ მივეხმარნეთ სოფლის ხალხს, მოვაწყოთ ხალხური ორგანიზაციები და დავუკავშიროთ მათ მთავრობას და სახალხო გვარდიას დემოკრატიულ წესწყობილების შესანახათა და დასაცველათა. მაშ გაუმარჯოს ხალხს და მის ორგანიზაციებს.

სახალხო დევიზია „დემოკრატიული რესპუბლიკა".

ჩვენ უკვე გვაქვს ის, მაშ გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის დამცველ სახალხო გვარდიას.

სოციალ-დემოკრატიული მუშათა დევიზია: „დემოკრატიული გზით სოციალიზმისაკენ".

ჩვენ უკვე გვყავს ასეთი მთავრობა, რომელსაც დემოკრატიული გზით მივყავართ სოციალიზმისაკენ.

მაშ, გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას.

გაუმარჯოს სოციალიზმს.

დუშეთის მაზრის მცხოვრებთა დამხმარე კომიტეტი.

P. S. კომიტეტი სთხოვს სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს მოწოდება.

გზიდან

ფოთში ჩავედით 13 ივნისს დილით. იმავე დღეს გვინდოდა გამგზავრება სოხუმში, საიდანაც არა სასიამოვნო ამბები მოდიოდა. ვეჩქარებოდით, მარა გასვლა არ ხერხდებოდა. ყოველთვის რამე გვაკლდა მატორი არ იყო, ან ზეთი გვაკლდა, ან საიმედო მატროსები, რომლებიც სოხუმის ნაცვლად თავს გაგრაში ან კიდევ იქით ჭარ ამოგვაყოფინებდა. წინა დღეებში „ამხანაგ" მატროსებს ერთი გამანადგურებელი (ისტრებიტელ) უკვე წაეყვანათ სადღაც და უკან აღარ ბრუნდებოდენ. 13 და 14 ივნისი ისევ ფოთში გავატარეთ. ცუდი ხმები სოხუმიდან სულ თანდათან ძლიერდებოდა და მოთმინებას გვიკარგავდა. ამბობდენ, რომ გუდაუთს ალყა აქვს შემორტყმული და მცირერიცხოვანი ჩვენი ჯარი შიგ არის მოწყვდეული ამხ. ნოვიკოვის მეთაურობით. გვაშინებდა ის ხმაც, რომ მეგრელები კოდორიდან მოყოლებული მიემართებიან სოხუმის ასაღებათ, გვითვლიდენ ფოთში სოხუმიდან მიგვიშველებია ჯარი და ფოთში არავითარი ძალა არ გვყავდა. ამხ. ვლ. ჯიბლაძე ჯარისთვის ქუთაისისკენ გაექანა. ხვალ მისი ჯარიც დაიძროდა სოხუმისკენ. ამ იმედით ჩვენ 14 ივნისს შუაღამისას პატარა კატერით შევტოპეთ ზღვაში 1 ნახ. მილიონი მან. ვერ ვინდვე თან და წამოსაღებათ ვლ. ჯიბლაძეს დავუტოვე. მწყინდა, რომ ამხ. გიზო ანჯაფარიძე არ იყო ჩემთან, სამეგრელოში შემოაგვიანდა. ჩვენ კატერში მოდიოდა თფილისიდან დაბრუნებული აფხაზეთის დელეგაცია. ჩვენი კატერი ისე პატარა აღმოჩნდა, რომ დამჯდარნი ძლივ ვთავსდებოდით შიგ და თუ ვისმეს ძილი უნდოდა, ამ მდგომარეობაში უნდა მოეხადა ბუნების ეს გარდაუვალი ვალი. წარმოიდგინეთ ჩვენი გასაჭირი და წანწალი, როცა დილით გათენებისას მდ. კოდორის პირდაპირ ნაპირიდან სასტიკი სროლა აგვიტეხეს და მხლებმა ამხ. გვარდიელმა გვიკამანდრა დაწევით! ყველანი გაექანა იატაკისაკენ და ტევა არ იყო. ЭТО ЭГОИЗМЪ—ბუზღუნებდა ყველაზე ზემოთ მოქცეული თანამგზავრი. სროლა არ წყდებოდა. ტყვიამ გაგვიხვრიტა მანქანის ნაწილი და თუ წყალი შიგ არ შემოვიდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სწორედ იმ ადგილას ორთქლი დიდის ძალით სცემდა. ორთქლი წყალზე ძლიერი გამოდგა. სასწრაფოთ ზღვის შუაგულს მივაშურეთ, ტყვია ვეღარ გვწვდებოდა და დილის 8 საათზე 15 ივნისს სოხუმში მივედით უვნებლად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზღვის ავათმყოფობას, რომელმაც ზოგი ძლიერ შეაწუხა და დაასუსტა.

სოხუმში სრული მყუდროება სუფევდა. ყველანი დაიმედებული იყო წინანდელი ჩვენების ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, რომ ახლაც ჩვენი ჯარი გაიმარჯვებდა და არავის ფიქრადაც არ მოსდიოდა, თუ ორიოდე დღის შემდეგ მათი ქალაქის ბედი ბეწვზე ჩამოეკიდებოდა. არავინ ანგარიშს არ უწევდა იმ გარემოებას, რომ ამ ჟამად მტერი უფრო მომზადებული იქნებოდა და ჩვენ კი ფრონტზე გვყავდა რაღაც 150 კაცი მცირე არტილერიით და პულემიოტებით. არ სჯეროდათ ჩვენი დამარცხება. ერთხელ ნახული ჩვენი ძალა იმედით გულს უვსებდა ყველას მით უფრო მეტი იყო იმედი, რომ ყოველ საათში მომშველ ძალას მოველოდით. მე შეუწყვეტლივ ჩვენს გაჭირვებაზე რადიოთი ველაპარაკებოდი თფილისს, ქუთაისს, ფოთს და სამტრედიას. 16 ივნისს უსიკვდილოთ უნდა გამოსულიყო ფოთიდან ვლადიმერ ჯიბლაძე ჯარით. დააგვიანდა, დავღონდით. ფრონტიდან ნაძალადევი გამამხნევებელი ცნობები მოგვდიოდა ჯარის ხელმძღვანელი ნოვიკოვისგან. მაგრამ აქა იქ შიგ ვკითხულობდით დამწერის ცრემლებს. მაგ. იყო ადგილი—ზოგნი ჩვენები გამორბიან უკან, მაგრამ სხვები ლომებივით იბრძვიან. ან კიდევ—ჩვენ დავუხოცეთ მტერს ბევრი, თუმცა ძალიან გვიახლოვდებიან. ალბათ ჩვენი სახე უმტკიცებდა ხალხს ჩვენს უიმედო მდგომარეობას, რომ თანდათანაც შეინძრა, შეშფოთდა და ქუჩებში გამოიშალა. ისმის გრიალი ზარბაზნების. ყოველ მათ გრიალზე გული იკუმშება, იცი, რომ შენი მხრით ის არ არის გასროლილი, არამედ მტერი გმირავს ჩვენს შვილებს, ძმებს მომშველნი კი იგვიანებენ. გამოჩნდა დიდი გემი ფოთიდან, მილში ამოდის დიდი კვამლი, მაგვეშვა გულზე, იმედი, ისევ იმედი. ხალხი მოაწყდა ბულვარს, რეიდზე არავის უშვებენ. გვიკვირს, რომ გემზე ჯარი არ ჩანს, ეჭვი იბადება გულში. გადმოვიდა ამხ. ვლ. ჯიბლაძე—სნარიადები მოვიტანეთ ჯარი?—ჯარი გენერალმა მაზნიევმა დაიბარა აბასთუმნის მისაშველებლადაო. სასოწარკვეთილებამ შეგვიპყრო. უხმოთ, უწუგეშოთ უცბათ მოშორდა ხალხი გაიფანტა. ჩავუჯექი აპარატს ხელახლა. თფილისიდან თფილისიდან ვ. ჯუღელი და ალ. დგებუაძე მპირდებიან ხვალ გამოვალთო. გვიანია, ვერ მოგვისწრებთ, ცოცხალს-მეთქი. დავბრუნდი. გზაზე შეწუხებული ამხანაგი შემხვდა. უსიტყვოთ მივხვდი, რაც უნდა ეთქვა.

— გუდაუთი დაეცა, ჩვენი საუკეთესო რაზმი ამოუწყვეტიათ, ვინც გადარჩენილა ათონისაკენ დაქანებულა, მალე სოხუმისაკენ წამოვლენ. წინდამით მოვბოჭეთ რაც ძალა ქალაქში გვქონდა. ქალაქი დაუცველად ბერძნებს ჩავაბარეთ და ამხ ილიკო ჟუღელის მეთაურობით დასახმარებლათ გავუშვით, მაგრამ ვერ მოუსწრეს. გამოქცეულები ათონთან შეუერთდენ, უკან დაიხიეს ათონიდანაც და გუმის ხიდთან გამაგრდენ. მაგრამ იქაც ბევრი არ გაჩერდა, სოხუმს მიაშურეს, ქალაქში შემოდიოდენ ნაწილ-ნაწილ გამოქცეულნი. მოვიდენ მათი უფროსებიც. პოზიცია გატიტვლებულიყო ერთიან. იქვე დაეტოვებიათ ის ერთი ზარბაზანიც, რომელიც ოთახში მტრისგან დაგვრჩენოდა წაუღებელი. ეხლა ცხადი იყო, რომ იმავ ღამეს მტერი სოხუმსაც აიღებდა. მაგრამ ჩვენდა საბედნიეროთ მათ საქმე გუდაუთში გაიჩინეს და ჩვენთვის არ ეცალათ. შესდგომოდენ რბევას და ცარცვას, სახლების ჩხრეკას და წვას. გაქონდათ ურმებით და ცხენებით. ამ დროს მომდის გენ. მაზნიევის დეპეშა ჩემს თხოვნაზე სამტრედიიდან: ახლა რომ 18 ივნისია, დღის ორი საათი, გამოვდივარ და ხვალ სადილ შემდეგ თქვენთან ვიქნები. გამაგრდით. ეს ის დრო იყო, როცა ჩვენ გაფანტულ ჯარს სათითაოთ ვაგროვებდით შტაბთან და ვაჯერებდით ფრონტზე გაჩერებულიყვენ. მთაზე არაფერი არ მოქმედებდა შესაბრალისი იყო შტაბის უფროსი ამხ. ტუმარკინი, რომელიც ემუდარებოდა, ემუქრებოდა მარა ვერას ხდებოდა, ჯარი უარზე იდგა. სხვებზე უფრო ჯიუტობდა ყვირილის რაზმი, რომლის ზოგიერთი წევრები უწმაწურ აგიტაციასაც ეწეოდენ. ყველას წელი მოსტეხა იმ გარემოებამ, რომ საუკეთესო ნაწილი ჯარისა—აღმასრულებელი კომიტეტის რაზმი—გმირულად იბრძოდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდის, ნაწილი დაიღუპა, ნაწილი ტყვეთ იქნა წაყვანილი, მხოლოდ პატარა ნაწილი გადარჩა და [illegible]ჩა. სხვები აქ ყიალობდენ. მე მივმართე ჩემს ძალას, რომლითაც აღჭურვილი ვიყავ მთავრობისგან და განვუცხადე შტაბის უფროსს ტუმარკინს: რესპუბლიკანური ჩვენი მთავრობის სახელით გიბრძანებ ახლავე შეადგინოთ სია იმ პირთა, რომელსაც ნებით უნდა პოზიციაზე წასვლა ® იმათაც, ვინც აქ რჩება. Слушаюсь, ქუდზე ხელის მიდებით მითხრა ამხანაგმა და გაბრუნდა ბრძანების შესასრულებლად. ჯარმა გაიგო ჩემი ვინაობა და საჩქაროთ დამწკრივდენ და მეც მათთან გავემართე ფრონტზე. გამგზავრების წინ წავიკითხე გენერალ მაზნიაშვილის დეპეშა, რომ ის ზარბაზნებით და ტყვიის-მფრქვეველებით ჩვენთან იქნება, დეპეშაც ჯარს გადავეცი სხვებისთვის წასაკითხავათ. გზიდან ამხანაგებმა მე უკან დამაბრუნეს, რადგანაც მე იმ სახიფათო ღამეს ქალაქში უფრო საჭირო ვიქნებოდი, როგორც კავშირი მთავრობასთან და თადარიგისათვის, თუ რამე მოხდებოდა. საქმე იმაში იყო, რომ გავრცელდა ხმა, თითქოს სოხუმზე მოდიოდენ. საჭირო იყო გზების გამაგრება. გზები კი გასამაგრებელი 5—6 იყო. ჩვენ კი ძალისგან გამოფიტული ვიყავით. შემოსევას უფრო დრანდის მხრით, აღმოსავლეთიდან მოველოდით. კლასურის ხიდთან ქალაქიდან სამი ვერსის მანძილზე დავაყენეთ ათი ბერძენი აფხაზი ამხანაგის ვ. შერვაშიძის მეთაურობით. ამათ ჩირაღდანი უნდა აებრიალებიათ, თუ მტერი გამოჩნდებოდა და ჩვენ კი ზარბაზნები უნდა დაგვეშინა გემიდან, რომელიც იქვე პირდაპირ გვედგა, რომ ხმას ხალხი დაეშინებია: მაგრამ ხალხი თურმე მოსვლას არ ფიქრობდა და ჩვენც ზარბაზნის ახმაურება არ დაგვჭირდა. მთელი ღამე დავრბოდით აპარატიდან ქუჩებში და პოსტებზე. საიდგანღაც გაჩნდა სტუდენტების ჯგუფი და დახმარება აღგვითქვა, თუ თოფებს მივსცემდით. შევაიარაღეთ და გავამგზავრეთ მთის წვერზე. ჩვენი იმედი იმ ღამეს ბერძნები იყვენ. თავდადებული მუშაობდენ მათი ბელადის ამხ. პაშალიდის ხელმძღვანელობით მათი მილიციონერები ქალაქის დასაცავათ. სომხები ქალაქიდან სადღაც წინადღე გავიდენ. შეიარაღებული ნაწილი მათი კი მტრის ბანაკიდან გვებრძოდენ. ღამის ორი საათი იქნებოდა, რომ ახალი გემი მოვიდა და მოიყვანა დაპირებული ჯარი 260 კაცი პოლკ. დადიანის მეთაურობით და მოიტანა 2 პულემიოტი, ზარბაზანი კი არსად სჩანდა. მათ მოყვა ამხ. გიზო ანჯაფარიძეც. ჯარის მოსვლა მყისვე ვაცნობეთ პოზიციაზე მყოფთ, რომ გაგვემხნევებინა. მოსულ ჯარს, რასაკვირველია, მაშინვე გასულა პოზიციაზე არ შეეძლო: ჯერ უნდა დაესვენებია, ეჭამა, დაეძინებია. მეორე დღეს—19 ივნისს, ნაშუადღევს არ გასულა. მაგრამ მისმა მოსვლამ გამხნევა ჩვენი ბანაკი და შეაშინა მტერი, რომელიც თავდასხმას ადვილად ვერ გაბედავდა, თუმცა ისიც ვიცოდით, რომ ეს ძალა საკმარისი არ იყო. მე მაწუხებდა, რომ გენ. მაზნიევი იგვიანებდა, რადგან 19 და 20 ივნისსაც სოხუმის ბედი ბეწვზე ეკიდა. 21 დილით ესტუმრა სოხუმს გენერალი. რა თქმა უნდა, მისმა მოსვლამ და მასთან არტილერიის მოტანამ ერთიან შესცვალა სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა ჩვენი ჯარისა. ახლა აღარ იყო არც ერთი ჯარისკაცი, რომელიც ომისკენ არ იწევდა დიდი სიხალისით. ცოტა დასვენების შემდეგ გენერალი პოზიციაზე წავიდა საჭირო ზომების მისაღებათ. დაბრუნებისას მითხრა მალე შევუტევ და გაგრას ხვალვე დავიბრუნებო, და ასეც მოხდა. 22 ივნისს ჩვენი ჯარი გაგრაში შევიდა. ბოლშევიკები იქიდან თავპირის მტვრევით გარბოდენ. მოსვლისათანავე გენერალმა მაზნიევმა წინაბრძოლაში ნამყოფი დაღლილი და შეშინებული ჯარი დასასვენებლათ უკან მოაქცია და წინ ახალი ჯარი გაუშვა. დარჩენილებმა მალე მომმართეს თხოვნით, რომ ისინიც მალე გაგვეშვა ბრძოლაში. სიმღერით და ყიჟინით ღამით გაექანენ ძმებთან მისახმარებლათ და დაკარგული ამხანაგების სისხლის ასაღებათ. ვუცქეროდი და მიკვირდა, რომ ამ სამი დღის წინეთ დაბეჩავებული ხალხი ასე გადახალისდა უცებ. ბევრს ნიშნავს თურმე, როცა ბრძოლის დროს გვერდში და უკან ძალა გიგულება. გაქცეულ ბოლშევიკებს გენერალი უკან არ გამოუდგა და ორი დღე ჯარი დაასვენა. ეს ცდა ჯარსაც და ჩვენც გვწყინდა, რაც არ დავუმალეთ გენერალს და ვთხოვეთ ცხელ კვალზე დაეჭირა მტერი. მაგრამ ის თავისას ფიქრობდა და ჩვენ აბა რას გავაწყობდით! არც მეორე რჩევა მიიღო მან ჩვენი. ჩვენ გვინდოდა გაგრის მიდამოში დესანტი გადაგვესხა და შუაზე მოგვემწყვდია გაქცეული მტერი. ჩვენ ძალიან გვინდოდა მათი მეთაურების ჩაგდება ხელში, განსაკუთრებით ცნობილი ლაკობა, ყოფილი მწერალი სუდის, რევოლიუციის შემდეგ ხალხში გამოდის

ბოლშევიკის სახელით და ეწევა დიდ პროვოკაციას. მეგრელებს აფხაზებით აშინებს, აფხაზებს სხვა ერების წინააღმდეგ ამხედრებს და ყველას ერთად კავკასიის კომისარიატის, სეიმს და საქართველოს ამტერებს. ყველას პირდება პურს, ფულს, ფართალს, თუთუნის გაყიდვაში დახმარებას და ყოველივე სიკეთეს, თუ ისინი სახალხო კომისარებს მიემხრობიან და ძირს დასცემენ „კონტრ-რევოლიუციონურ ამიერ-კავკასიის მთავრობას და მოღალატე მენშევიკებს". ხალხიც გაყოლია, გარდა ბერძნებისა, რომელნიც იმ თავიდან მათი წინააღმდეგი ყოფილა და არიან დღესაც.

(შემდეგი იქნება).

საჩხერის ამბები

შორაპნის მაზრის მცხოვრებნი, რევოლიუციისა და თავისუფლების დამცველ ავანგარდს წარმოადგენენ დღემდე. მართალია, გაისმოდა აქა-იქ ცოტ-ცოტა უკმაყოფილების ხმები შეუგნებელ მასაში, მაგრამ ეს იყო პროვოკატორთა ცდის ნაყოფი და იარაღზე დანატრულებული ხალხიც, რომლებმაც იგი ასე უსასყიდლოთ შეიძინა, ყოველივე ღონით ცდილობდა მისს შენარჩუნებას, მაგრამ დემოკრატია ამას ვერ ეგუებოდა; დემოკრატიამ და რევოლიუციონურმა ხალხმა იცის იარაღის მნიშვნელობა და ისიც, თუ ვის ხელში უნდა იყოს ეს იარაღი და ეს ცოდნა ავალებს მას, იარაღი მოათავსოს იქ, სადაც ის აუცილებლათ უნდა იყოს. ამაში დემოკრატია ვალდებულია მისგან შექმნილ მთავრობას ხელი შეუწყოს, მაგრამ ეს არ ესმის ხალხის მტრებს; ისინი იარაღს მხოლოდ და მხოლოდ თავისი მიზნებისა და პირადი შურის ძიებისათვის საჭიროებენ და აი სწორეთ ამას უნდა მიეწეროს ახლად დაწყებული ტრაგედია. ამას წინეთ, როცა აქვე კაცხის საზოგადოებაში მოვიდა იარაღის ჩამომრთმევი რაზმი, მიუხედავათ იმასა, რომ გარეგანი შეხედულებით დიდი ექსცესები იყო მოსალოდნელი, მცხოვრებნი იმდენათ მომზადებულნი აღმოჩნდნენ, რომ ვერ შესძლეს პროვოკატორებმა თავისი გაეტანათ და იარაღის ჩამორთმევა სასურველათ ჩატარდა. იმ ხანათ ჭიათურის მუშათა საბჭო ყოველნაირათ ცდილობდა, ამ რაზმს განეგრძო იარაღის ჩამორთმევა ჭიათურა საჩხერის რაიონებშიაც, მაგრამ ეს არ დარჩა მაშინ მოსახერხებელი, რადგანაც იმ ხანათ რაზმს მიეჩქარებოდა უფრო სამეგრელოსაკენ. განზრახვის სისრულეში დროით მოუყვანლობამ საქმეს ზიანი მოუტანა; პროვოკაციამ თანდათან გაიდგა ფესვები, ხალხი დაარწმუნეს: თავად-აზნაურობისაგან და ბურჯუაზიებისაგან დაქირავებულ ხალხს უნდა ჩვენი დამონება და ემზადეთო. ამ ნაირათ გავრცელდა შეუგნებელ მასაში არა სასურველ გამოსვლაზე ხმები. ჭიათურის მუშათა საბჭო იძულებული შეიქნა, მოეთხოვა იარაღის დაბრუნება და პირველი ცდა სრულიათ მშვიდობიანი გზით კიდეც მოახდინა ს. კორბოულზე, სადაც, მხოლოდ, რამდენიმე კაცი გაიგზავნა იარაღის მოსათხოვნათ, მაგრამ მათ უპასუხეს საფრებიდან სროლით, ეს იყო ასე 24 ივანობისთვეს.

დაყოვნება შეუძლებელი იყო: მუშათა საბჭო, რასაც ადრიდანვე თხოულობდა, აუცილებელი შეიქნა მისი შესრულება და 27, ყვირილა—შორაპნის რაზმელებიდან 80 კაცი აფიცერ გაჩეჩილაძის მეთაურობით ეწვია საჩხერეს. რაზმის წინააღმდეგ არ იყო რაიმე გამოსვლები მოსალოდნელი, ამაში დარწმუნდა თვით გაჩეჩილაძეც და სრულიად თადარიგ დაუჭერლათ შეუდგა თვით საჩხერეში მოქმედებას, ე. ი. იარაღის აყრას, გამოტაცებულ ტანისამოსის აცლას და, როგორც გამოირკვა, სხვა პირადი დაკმაყოფილებას საკითხს, აი სწორეთ ამ დროს მზადდებოდა, თურმე ირგვლივ საგრძნობი ძალა, ბოლშევიკური „ბანდებისა" და როცა ამაზე მზვერავები უთითებდენ აფიც. გაჩეჩილაძეს, ის მოხსენებას ანგარიშს არ უწევდა და ასეთ ცნობებს, უნდობლათ ეპყრობოდა, ამავე დროს ჩვენი მხრიდან მოსალაპარაკებლათ გასული ზემო იმერეთში კარგათ ცნობილი მუშა ვ. ბურჯანაძე აწვდიდა თურმე გაჩეჩილაძეს საჭირო ცნობებს მალულათ, მაგრამ მიუხედავათ ყველა ამისა გაჩეჩილაძე საფრთხის წინ სრულიად მოუმზადებელი დარჩა და როცა 28-ში დილის 9 საათზე მოპირდაპირიდან პირველათ სროლის ხმა მოისმა, ისინი აღმოჩნდენ თვით საჩხერეში შემოსულნი და ირგვლივ მდებარე მაღლობი და თვით მოდინახეს ციხეც მტრისაგან დაკავებული; ცხადი იყო ასეთი მცირე რაზმით გამაგრება არ შეიძლებოდა და ჩვენებიც მცირე შეტევის შემდეგ დამარცხებულნი, არეულ-დარეულნი დაბრუნდენ უკან და იმის მაგივრათ, რომ ახლო-მახლო სადმე გამაგრებულიყო აფიც. გაჩეჩილაძე, რათა ეცადა ძალებისათვის, იმან გზა-შარაზე დააგდო თავისი რაზმი და სრულიათ მოულოდნელათ უკან დაბრუნდა. რაზმელებმა დატოვეს რამდენიმე დაჭრილი სამიოდ მოკლულიც 80 დე ცხენი, რამდენიმე თოფი, საჩხერის რაიონის მთელი არსენალი და თავს ძლივს უშველეს ჭიათურაში ჩამოსვლით, სადაც დაუწყეს ცდა დამხმარე ძალებს.

არ იცოდა კაცმა რა ხდებოდა საჩხერეში, ამ ხნის განმავლობაში მოდიოდენ გამოქცეულნი მცხოვრებნი, მაგრამ მათგან სწორი ამბების გაგება შეუძლებელი იყო, რადგანაც იმათ უკან რა ხდებოდა, არც თვითონ იცოდენ; თვით ჭიათურაც „პანიკამ" მოიცვა და ახალგაზრდობაც იარაღში ჩაჯდა, მაგრამ ამ მცირე რაზმმა საჩხერისკენ ვერ შეძლო წასვლა, რადგანაც ხმები ძალიან აზვიადებდა იქაურ ძალას.

28 ღამით თვით ჭიათურაც საფრთხეში იყო, მოსალოდნელი იყო „ბანდების" აქეთკენ წამოსვლა, რის დასახვედრათაც საჭირო იყო მზადება და ყოველ საათობით მოველოდით დამხმარე ძალასაც; ღამის ორ საათზე უკვე დიდი ძალაც მოვიდა რამდენიმე ეშელონათ, მათ შეუერთდა ადგილობრივი ძალებიც და 29, დილით 6—7 საათზე საჭირო იარაღით 600 მეტი კაცი საჩხერისკენ გავიდან.

აქედან იწყება ჩვენი ოპერაცია. 11 საათია, უკვე ისმის ჩვენი ზარბაზნების ხმა ჭიათურაში, უეჭველია,გენიის ცეცხლს აჩენს ჩვენი ტყვიის მფრქვეველები და ორივეს მხრით ცეცხლის მფრქვეველი თოფები.

ცნობაა გვემატება კიდევ 500 კაცი საჭირო იარაღით.

„ბანდებში" მონაწილეობას ღებულობენ, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი ჯარის კაცები და დეზერტირ ხულიგანები, ისე ოსები. ამათ ძალით გამოუყვანიათ უიარაღო სოფლელნი და სხვ.

ალი—ხანი

29 ივნისი.

(შემდეგი იქნება)

სერაპიონ რამიშვილი

აღმოსავლეთ გურიიდინ ამხანაგებმა ფრიად სამწუხარო ამბავი გვაცნობეს: გარდაცვლილა სერაპიონ რამიშვილი.

დეპეშაში მოხსენებული არ არის, თუ რა იყო მიზეზი ამ მხნე და დაუზრეტელი ენერგიის ადამიანის. ჯერ კიდევ ახალგაზდა გარდაცვალების. დღეს, როცა ამხანაგები ერთი მეორეზე გვეცლებიან ხელიდან, თითქოს შევეჩვიეთ სიკვდილს, მაგრამ ძნელია იმის წარმოდგენა, რომ აღმოსავლეთ გურიას, განსაკუთრებით კი გურიის თვალს—სურებს აღარ ყავს მისი მოჭირნახულე, უანგარო, თავდადებული გამოცდილი მასწავლებელი და პარტიული ამხანაგი, პარტიის ხელმძღვანელი და დემოკრატიის ნაწრთობი ბელადი.

სურები გურიაში ამ 30 წლის წინად გურიის სხვა სოფლებთან ჩამორჩენილი იყო, მაგრამ სურების პირმშო სასახელო შვილის ისიდორე რამიშვილის მეოხებით იქ გაიხსნა სკოლა (1885 წ.) განსვენებული სერაპიონი ამ სკოლის პირველი მოწაფე იყო. როცა სოფლის სკოლა დაასრულა ისიდორესავე წინამძღოლობით და რჩევა დახმარებით მან დაასრულა სწავლა ოზურგეთში და შემდეგ თვით დაიწყო მასწავლებლობა. ისიდორეს პირველმა მოწაფეებმა და მათ შორის სერაპიონმაც (პირველმა) განაგრძო ისიდორეს დაწყებული საქმე—სურების პატარა სოფლებში გახსნეს სკოლები, დიდრონებს შეასწავლეს წერა-კითხვა, ხალხი შეაჩვიეს კულტურას და ამ რიგათ ყბათ აღებული სურები 10—15 წლის განმავლობაში მისივე შვილების მეოხებით შეიქნა გურიის საუკეთესო კულტურული სოფელი. განსვენებული სერაპიონის დახასიათება ეს დახასიათებაა ისიდორეს მიმდევრების (ამ ყოფილი „ნაროდნიკებით")—ასე ვთქვათ, მეორე თაობის დახასიათებაა. თვით სერაპიონი კი ამ თაობის მარგალიტი იყო. 20 წელიწადზე მეტს ის ემსახურა ხალხს და მაზე ძვირის მთქმელს გურიაში ვერ იპოვიდით, ის პატიოსნებისა და უმანკო-უანგარო მოღვაწის განსახიერება. წასულ წელს მას შვილების აღზრდამ და ამხანაგების თხოვნამ აიძულა სურებიდან ჩოხატაურის უმაღ. პირ. დაწყ. სკოლაში გადმოსულიყო მასწავლებლად, დღეს კი სერაპიონს ეთხოვება მისი საყვარელი ხალხი და მისი წვრილი, უკვე უპატრონო ცოლშვილი. და მეც მისი ძველი მეგობარი—ამხანაგი გულამოსკვნილი დავსტირი.

აპ. წ—ძე.

გული მომიკლა ძვირფასი ამხანაგი სერაპიონ რამიშვილის მოულოდნელათ დაკარგვამ. ჯან-ღონით სავსე, დაუღალავ გულ-წრფელ მუშაკ სერაპიონს, ბევრის გაკეთება შეეძლო, მაგრამ წყეულმა სიკვდილმა უეცრად მოგლიჯა ის თავის საყვარელ საქმეს და ამხანაგებს. მისი დაკარგვა, მით უმეტეს დღეს, ასეთ კრიტიკულ დროს, დიდი დანაკლისია მთელი გურიისათვის მეტადრე მისი ნორჩი მოწაფე ახალთაობისათვის, რომლებმაც დაკარგეს სერაპიონში ჭეშმარიტი გზის მაჩვენებელი მასწავლებელი საყვარელი აღმზრდელი მამა. გული გიკვდება, როცა დღითი-დღე ხელიდან გეცლება საუკეთესო ამხანაგები, გამოცდილი პარტიული მუშაკები, მაგრამ სასოწარკვეთილება ვერაფერს გვიშველის, მათი ხსოვნა და პატივისცემა მით უნდა აღვნიშნოთ ჩვენ, რომ ის საქმე, რომელსაც ისინი ემსახურებოდენ მათმა ამხანაგებმა განვაგრძოთ და მით დაუვიწყარვჰყოთ ძვირფასი სერაპიონი.

სილია.

გურულებო

გურულები დღეს უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან არ აქვთ სიმინდი, ეს ყველამ იცის და ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა სულ იმის ცდაშია როგორმე გურიას საზრდო მიაწოდოს. ამას გურულებიც კარგად ხედავენ და აკი ანარქიას ფეხი ვერ მოუკიდია, რესპუბლიკანური წეს რიგი არ დარღვეულა. მიღებულია ყოველივე ღონე და 10-14 დღეში გურულებს სარჩოს მიაწოდებენ, მაგრამ საჭირო მანამდე თვით გურულებმა მიხედონ და რაც კი აქვთ მეზობლურათ გაინაწილონ, გურიაშივე რომ ზოგ ადგილას სიმინდი კიდევ მოიპოვება ეს ცხადია, რადგან ძლიერ ბევრი გურიაშივე ჩუმათ ღამ ღამობით ყიდულობს სიმინდს ფუთს 60 მან. დი კიდევ მეტად. ცხადია ზედმეტი რომ არ მოიპოვებოდეს გაჭირვებისათვის დღეს სიმინდს არავინ შეელევა. მომჭირნეობა, დაზოგვით დახარჯვა, მეზობლური ხელის გამართვა და რამოდენიმე დღის მოთმენა.

აი რა იხსნის გურიას! X.

ოსმალეთში

ამ დღეებში სტამბოლიდან ჩამოვიდა ფოთში გერმანიის გემით 40-მდე ქართველი სამხედრო ტყვეები. მათი გადმოცემით, ქართველებს ოსმალობი, სანამ ომი განახლდებოდა ამიერ-კავკასიასთან კარგად ეპყრობოდენ, შედარებით სხვა ტომის ტყვეებთან. ომის შემდეგ მათი მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა, მაგრამ ბოლო დროს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ცოტათი ადრე, მათი მდგომარეობა კვლავ უკეთესი შეიქმნა, გერმანიელების გავლენით. როგორც ქართველ ქრისტიანებს, აგრეთვე ქართველ მაჰმადიანებს ოსმალები ერთნაირათ ცუდათ უცქერენ... სტამბოლს ქართველი მაჰმადიანები, ნემე წულუკიძის გადმოცემით (ქართველი მაჰმადიანია), ძალიან შეწუხებულნი არიან აჭარის ღალატით, მაგრამ ხსნიან მას აჭარის შეუგნებლობით და ბეგების გავლენით.

სტამბოლი ფაქტიურათ გერმანელების ხელშია. თუ არა ისინი, ოსმალეთის დედა ქალაქი დიდიხანია, შიმშილის ხელში იქნებოდა...

ამას წინათ სტამბოლში დაიწვა 24 000 მდე სახლი. ეჭვი ჰქონდათ ოსმალებს, რომ სომხებმა გაუჩინეს სახლებს ცეცხლიო, მაგრამ, საბედნიეროთ, ხმები არ გამართლდა: გამოძიებით გამოირკვა, რომ ცეცხლი გაჩენილიყო ოსმალოს ერთ სახლში „მადლიდან".

ოსმალეთში ხალხის სიღრმეში დიდი უკმაყოფილებაა. ნახევარ მილიონამდე ხალხს ავაზაკობა ხელობათ გადაუქცევია. ამიტომ ოსმალებს დიდძალი ჯარი სჭირია ზურგში ავაზაკების ასალაგმავათ...

არის პროვინციები, სადაც ხალხი შიმშილით იხოცება. ხშირათ ნახავთ გულსაკლავ სურათებს. როგორ სჭამენ პირუტყვების ძველ ლეშებს...

სომხობა ოსმალეთში ძალიან ცოტაა. ნაწილი სულ ამოწყვეტილია, ან სტამბოლში გადასახლებულა და ან სულ მიუტოვებიათ ოსმალეთის საზღვრები და გაქცეულან უცხო ქვეყნებში. სხვა ქალაქებში სომხები ძალიან ცოტა დარჩა.

ოსმალეთში მალე უნდა მოხდეს „გადატრიალება". არის ძლიერი მიმდინარეობა, რომელსაც მიზნათ აქვს, ჩამოაგდოს ტახტიდან სულთან მაჰმუდ მე-V და მის ტახტზე აიყვანოს მისი ერთ-ერთი ძმის-შვილი.

ენვერ-ფაშის პარტია ძალიან გავლენიანია, მაგრამ თუ „გადატრიალება" მოხდა, შესაძლებელია ენვერ ფაშის დამარცხებაც. „რევოლიუციონურ" წრეებში მას მოკვლასაც კი უპირებენ.

პოლიტიკური მოპირდაპირე ენვერფაშისა—თალაათ ფაშა, ხალხის დიდი სიმპატიით სარგებლობს. ის დიდათ პოპულიარულია მასაში.

ოსმალეთის ქართველების შესახებ, ნემე წულუკიძემ შემდეგი გადმოგვცა:

სტამბოლში ქართველ მაჰმადიანები 600 მოსახლეა. არიან ქალაქში ქართველკათოლიკენიც.

ანატოლიის ნაპირზე და ოსმალეთის სხვა ნაწილებში ბლომათ მოსახლეობენ ქართველი მაჰმადიანები. ბევრი მათგანი შეძლებულებიც არიან. მათი სოფლები ცალკეა გაშენებული ოსმალეთის სოფლებიდან. ქართული ზნე-ჩვეულება კარგათაა დაცული. სხვათა შორის, ზეპირ გადმოცემანიც ბევრია ხალხში შენახული. ოჯახში—ქართულად ლაპარაკობენ. ხშირათ ნახავთ სცენებს, რომ მამა ყურებს აუწეწს თათრულათ მოლაპარაკე თავის შვილს და ეტყვის: ჯერ ქართული შეისწავლე და მერე ოსმალურიო".

ქართული წერა-კითხვა ბევრმა იცის. ქართული წიგნები ცოტაა და მოაქვთ სტამბოლიდან. წიგნები უფრო პოლიტიკური და ისტორიული შინაარსისა. წიგნები იბეჭდება სტამბოლში, სადაც ქართული სტამბა მოაწყვეს ქართველმა ემიგრანტებმა: პ. სურგულაძემ, მელ. ქარცივაძემ, მიხ. წერეთელმა, გ. მაჩაბელმა და სხვ,

ბევრ ქართველ მაჰმადიანებს სწყურიათ თავის ძველ სამშობლოში დაბრუნება და იქ დასახლება. არის ისეთებიც, რომელნიც სიამოვნებით მიატოვებენ თავის ქონებას და გადმოსახლდებიან, მაგრამ... ეშინიან რუსეთის.

ჩამოსული ტყვეები გაპარულან გერმანიის გემზე და ჩამჯდარან „ტრიუმში" (გემის ქვედა ნაწილია). ოსმალებს ეს გაუგიათ და მისულან კიდეც მათი გემიდან ამოსაყვანათ, მაგრამ გერმანელებს ამის ნება არ მიუციათ.

შ. ჩ—ია.

საქართველოს მოხელეთა კავშირი

სულ ორი თვეა, რაც დაარსდა საქართველოს მოხელეთა კავშირი და ამიტომ მას ფართო საზოგადოება ვერ იცნობს. დრო და ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა კი მოითხოვს, რომ ეს კავშირი, მისი ნამდვილი სახე, მისი მრწამსი გაიცნოს ყველამ, ვისაც შესტკივა გული სამშობლოსათვის, ვინც გულწრფელად ფიქრობს მისი კეთილდღეობისათვის საქმით და არა მარტო სიტყვით.

რუსეთის დიდებულმა რევოლიუციამ პირველ ხანაში საზოგადოთ ინტელიგენტური მასსა და კერძოდ მოხელეები გვერდზედ მიაგდო, ჩრდილში დააყენა. შეიძლება, ჭეშმარიტებასთან უფრო ახლო იყოს ვსთქვათ, რომ თითონ მოხელენი შეუშინდენ რევოლიუციის დამაყრუებელ ზარს, მის გასაოცარ ელვა-ქუხილს, მაგრამ ეს კითხვა ჩვენი გადასაწყვეტი არ არის: ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ მოხელენი, როგორც შეერთებული ძალა, როგორც მომქმედი ერთეული, ბრძოლის ასპარეზიდან გაქრნენ.

ეს მოვლენა სრულებით ბუნებრივია: თუ მხედველობაში არ მივიღებთ მსხვილ ბიუროკრატიას, რომელიც შეადგენდა ძველი რეჟიმის ერთ-ერთ ბურჯს, რომელიც ეკუთვნოდა მოხელეთა საშუალო და დაბალ შემადგენლობას გათახსირებული, სულ-ამოხდილი იყო, დაბრიყვებული და დაბეჩავებული.

რუსეთს რომ თავი დავანებოთ, დღეს ჩვენი სამშობლო იმისთანა ხანაშია, როდესაც მოხელეებმა ქვეყნის შენებაში მთელი თავისი უნარი უნდა გამოიჩინონ, მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება მის კეთილდღეობას ანაცვალონ.

„დღეს გაჩაღებულია შემოქმედებითი მუშაობა და თქვენ უნდა შეჰქმნათ ის აპარატი, ურომლისოდ ცხოვრებაში ამა თუ იმ კანონის გატარება და საზოგადოთ მისი მოწესრიგება ახალ ნიადაგზე შეუძლებელია; თქვენ უნდა გყავდეთ გაწვრთნილი მუშაკნი ყველა სახელმწიფო დარგში, თქვენი ცოდნა და გამოცდილება ეჭვირება მთავრობას, რომელიც თქვენს შრომას სათანადო პატივისცემას გაუწევს; შეართეთ თქვენი ძალები და მედგრად შეუდექით საქმეს, მოეხმარეთ მთავრობას; გამოიჩინეთ ენერგია და მაშინ იცოდეთ, რომ ყველა, ცალკე მე, თქვენი ხელშემწყობი ვიქნებითო",—დაახლოვებით ასეთი სიტყვები უთხრა ნ. ჟორდანიამ კავშირის მეთაურებს, რომელნიც მას წარუდგენ თავისი დანიშნულებისა და მოქმედების გასაცნობად. მაშ, გახსოვდეთ, ამხანაგებო მოხელენო, ეს თქვენთვის გამამხნევებელი, მრავალ-მნიშვნელოვანი სიტყვები. ასეთივე წამახალისებელი სიტყვები უთხრა ამ მეთაურებს ფინანსთა მინისტრმა ბ-მა გ. ჟურულმა. მთავრობას სხვა წევრების ნახვა ჯერ წინ არის; მაგრამ რა საეჭვოა, რომ ისინიც ჩვენს წადილს მუშაობისას ასეთი თვალსაზრისით შეხვდებიან.

კავშირს, როგორც მას პირველ ნაბიჯებიდან და თვით წესდებიდგანა სჩანს, მიზნათ აქვს შეაერთოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელენი და საზოგადო დაწესებულებებში მსახურნი, როგორც საქართველოს მოქალაქე-მამულიშვილნი, განურჩევლად მათი პოლიტიკური მიმართულებისა, რათა შეერთებული ძალით უტკივნეულად შეჰქმნას და განამტკიცოს ყველა დარგში ნაციონალიზაცია, რისთვისაც საჭიროა: ა) შემუშავდეს ქართულ ენაზე ყველა კანონები, მიწერ-მოწერისა და საქმის წარმოების დებულებანი და ფორმები და ბ) შესწავლილ იქნეს დაახლოვებით ყველა დაწესებულებათა საქმე, რათა მოხსენდეს მთავრობას სათანადო შემთხვევაში მისი საუკეთესოთ შეცვლა-მოწყობა.

ხაზი უნდა გაუსვათ, რომ კავშირი აპირობს ძალთა შეერთებას განურჩევლათ მათი პოლიტიკური მიმართულებისა ეს ერთად-ერთი გზა არის რომელმაც უნდა შეგვაერთოს; თვით კავშირი პოლიტიკურია, მაგრამ იგი პოლიტიკურია იმდენად, რამდენათაც ნაციონალიზაცია შეადგენს პოლიტიკურ კითხვას, მხოლოდ ფართო პოლიტიკური მუშაობა კი კავშირისთვის დამღუპავი იქნებოდა: ყველა ჩვენგანი, როგორც შვილი ნორჩი დემოკრატიული რესპუბლიკისა, ისე მოქმედებდეს, როგორც მას უკარნახებს თავისი მრწამსი, მაგრამ, როგორც მოხელენი, ჩვენ უნდა შევერთდეთ და შევთანხმდეთ საქმიანობის ნიადაგზედ, ძმურათ შევებათ ერთ უღელში, მივანდოთ ქვეყნის ჩარხის მართვა იმათ, ვისაც ანდობს ამას ერი და სამშობლო; ჩვენ-კი ხელი ხელს მივსცეთ მხარში ამოუდგეთ მთავრობას და მივსცეთ ის შემწეობა, ურომლისოდ ახალი გზის გაკვალვა შეუძლებელია.

მაშ, ერთობა, ამხანაგნო-მოხელენო! მხარი დაუჭირეთ კავშირს, გააძლიერეთ მისი მოქმედება, გამოიჩინეთ გამჭრიახობა. სირცხვილი იქნება, რომ ჩვენი ქვეყნის შენებაში ჩვენ შესაფერი უნარი ვერ გამოვიჩინოთ, შეძლებისადაგვარად მას არ ვემსახუროთ. დეე პატარა კალატოზები ვიყვნეთ, მაგრამ ერთგულათ ვიმუშავოთ და დავკმაყოფილდეთ იმ შეგნებით, რომ ჩვენა ვართ პატიოსანი მუშაკნი, იმის მიმცემნი სამშობლოსთვის, რასაც ჩვენი ძალ-ღონე შესწვდება.

გ. სორელი.

საქართველოს მოხელეთა კავშირის საბჭო აუწყებს კავშირის წევრთ და ყველას. ვისაც ეინტერესება მისი მოქმედება, რომ მისი სხდომები იმართება კვირაში ორჯელ: სამშაბათობით და პარასკეობით, საღამოს 7 საათიდან, ფრეილინის ქუჩაზე № 11, სადაც წინად იმყოფებოდა ეროვნული საბჭო. აქვე ყოველ დღე, საღამოს 5 საათიდან 7 დე, იქნება საბჭოს მორიგე წევრი, რომლისაგანაც მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ყველა საჭირო ცნობები.

საბჭო მოუწოდებს ყველა ქართველ მოხელეთ, განურჩევლად პოლიტიკური მიმართულებისა, უეჭველად ჩაეწერნენ კავშირის წევრად, ვინაიდან მხოლოდ შეერთებული ძალა შეგვაძლებინებს პირნათლათ შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა სამშობლოსა და ისტორიის წინაშე.

დროთა ვითარებას ალღო უნდა ავუღოთ, ძმურად შევკავშირდეთ და ხელიხელ ჩაკიდებული შევუდგეთ ძნელს, მაგრამ პატივსაცემ მუშაობას. მაშ, ერთობა, ამხანაგებო,—დავივიწყოთ ჩვენი ქართველური დაუდევრობა.

ამასთანავე საბჭო სთხოვს ყველა ქართველს, რომელიც სამსახურში არ არის და სურვილი კი აქვს იმსახუროს, მოაწოდოს საბჭოს ცნობები თავის ვინაობის შესახებ, აგრეთვე რა სწავლა აქვს მიღებული და სამსახურის რომელ დარგისათვის უფრო არის მომზადებული.

კავშირის საბჭო.

საად.-მამულო რეფორმა

თიანეთის მაზრა. 16 ივნისს მივედით თუშ კახეთის რაიონის სოფელ ახმეტაში. აქ ვინახულე რაიონის და საზოგადოების კომისარი, გავაცანი ჩემი მისვლის მიზანი, დავანიშვნიე კრებები სხვადასხვა ადგილას. თვით ახმეტაში აღგვითქვეს ყოველივე დახმარებას აღმოვუჩენთ მიწის ზომლებ კომისიასო. ვინახულე აგრეთვე ამ რაიონის მიწის მიმღებ კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბაზოშვილი და წევრები: ნ. მ. სკაჩკოვი და კ. ა. ოგანეზოვი. საღამოს შვიდი საათი იყო, მაგრამ მიწის მზომლები და კომისია ენერგიულათ განაგრძობდა მუშაობას. ბაზოშვილმა მიამბო, თუ როგორ უშლიან ხელს მიწების ჩამორთმევაში.

17 ივნისს გავმართეთ მატან-მარელისის საზოგადოების კრება. კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო. ვილაპარაკეთ თანამედროვე მდგომარეობისა და საადგილ მამულო რეფორმის შესახებ. ხალხი კმაყოფილი დარჩა. მხოლოდ ერთმა გლეხმა მაინც წამოიძახა—თქვენ მემამულეებს აძლევთ მიწას, მათი მოყდული ხართო. მე ავუხსენი მათ, რომ ეს შეხედულება არ არის სწორი, რომ მემამულეებს მიწას კი არ აძლევენ, არამედ—მათ ჩამოართვეს იგი და სხვ. „მართალია, მართალი"—ერთხმად იგრიალა ხალხმა. ერთმა გლეხმა დაუმატა: გვაპატიეთ, ბატონო, რომ შეგაწუხეთ და მთავრობას შესაფერი დახმარება ვერ აღმოვუჩინეთ მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარების საქმეში, მაგრამ, ხომ იცით, ჩვენ უვიცი ხალხი ვართ და, ხომ გაგეგონებათ, ფაფას შეშინებული, დოსაც სულს უბერავსო, რომ იტყვიან, ისეა ჩვენი საქმე. დღეის შემდეგ, რაკი გაგვაგებიეთ, რომ მთავრობაც ხალხის არჩეული ყოფილა და ისიც საუკეთესო პირებისაგან შემდგარი, რომლებმაც ჩვენი მონობიდან განთავისუფლების გულისათვის ციხე-კატორღაც გადაიტანეს და დღესაც დაუღალავათ შრომობენ ჩვენი კეთილდღეობისათვის, დღეიდან ჩვენც მისი განკარგულების შემყურე ვიქნებით და მთავრობის წარმომადგენელს გარდა არავის ნებას არ მივცემთ, რომ ჩვენში გაავრცელოს ისეთი აზრები, რომელიც ძმას ძმის წინააღმდეგ ამხედრებს. მხოლოდ ახლა ამას გთხოვთ, მთელი ხალხის სახელით, რომ სამი კაცია დაპატიმრებული ჩვენი ისეთი უვიცობისათვის, რომლის შესახებ მოგახსენეთ და იმედია იმათ [illegible] „მართალი, [illegible] თალი"—გაისმა ხალხის [illegible] განთავისუფლებამ.

ამის შემდეგ კრებამ ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია, რომლითაც კრება დღევანდელ პირობებში მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და აღუთქვამს მთავრობას ყოველგვარ დახმარებას. კრებას საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე საადგილ-მამულო რეფორმის ცხოვრებაში გატარება.

ამავე კრებამ გადააყენა ყველა წინათ არჩეული პირები, რადგან ისინი ვერ ასრულებდენ პირნათლით დაკისრებულ მოვალეობას და აირჩია საზოგადოების კომისარი, საადგილ მამულო კომიტეტი და სხვ.

ი. ყაჭიშვილი.

ს.-დემ. პარტიაში

ტფილისი. 4 ივლისს დემოკრატიულ კლუბში მუშტაიდში მოხდა საერთო კრება პირველი და მეორე რაიონის ს. დ. მ. პ. ეს კრება არა ჩვეულებრივ კრებათ უნდა ჩაითვალოს. კრება იყო დანიშნული საათის 6-ზე. საერთო ჩვეულებათ ჩვენ დანიშნულ დროზე არას დროს არ ვიკრიბებით, მაგრამ ამ დღეს როგორც მომხსენებლები, ისე მსმენელებიც დაახლოვებით ორი ათასი კაცი სწორედ ექვსზე მოსული იყვენ. ირაკლი წერეთელი აკეთებს მოხსენებას მიმდინარე მომენტზე ჯერ ქართულათ და მერმეთ რუსულათ ორ საათ ნახევარს. ლაპარაკობს: ამხანაგებო, ჩვენმა საგარეო პოლიტიკამ ჯერჯერობით გაიმარჯვა. გერმანიას მივმართეთ, რომ ოსმალეთი არ შემოშვებულიყო ჩვენ ტერიტორიაზე როგორც ეს მოხდა ადერბეიჯანში და სომხეთში. გერმანიასთან გვაქვს ხელშეკრულება. ამავე დროს იძულებითი ხელშეკრულებაც გვაქვს ოსმალეთთან, აგრეთვე იცით ისიც, თუ როგორ პირნათლად ასრულებს გერმანია დადებულ პირობას, აი მაგალითებიც: ოსმალეთს ჩვენ რკინის გზით უნდა გადაეყვანა ჯარები. გერმანიამ არ მისცა ნება. ამით არ იცნო ჩვენსა და ოსმალეთს შორის დადებული ხელშეკრულება და მიუთითა სტამბოლის კონფერენციაზე, სადაც მონაწილეობას ღებულობენ გერმანია-ავსტრო-უნგრეთ ბულგარეთი, ოსმალეთი და ჩვენ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კონფერენცია ჩვენდა სასარგებლოთ იმუშავებს. გვეუბნებოდენ: გერმანია შემოსვლისთანავე მონურ საქმეში ჩაერევაო, მაგრამ არც ეს მოხდა, არც მოხდება, თუ დავიცავთ სახალხო გვარდიასთან ერთად წესრიგს და გავითვალისწინებთ დღევანდელ მომენტს. ეხლა ჩვენი შინაური მდგომარეობა და პოლიტიკა. მე ვთქვი, ჩვენმა საგარეო პოლიტიკამ საქართველოს ტერიტორიაში მცხოვრებნი გადაარჩინა განადგურებას, ამაში რწმუნდებიან ყველა ერის ნაციონალისტები. ოსმალეთის იმპერიალისტები და სოციალისტების ქურქში გახვეული პროვოკაციის მსურველი ბოლშევიკები ყველამ ერთად დაიწყეს იერიშები, მოატყუილეს შეგნებით დაბლათ მდგომი გლეხები, გააჩაღეს სამოქალაქო ომი. ის დაბრმავებულა ყველა ზომით მოყვანილი ნაციონალისტები, რომ თითქოს ჩვენი დემოკრატიის დანგრევით შეიძლებოდეს იმ დანგრეულ ქვეყნების აღდგენა, მაგრამ იმათ კარგათ იციან რას აკეთებენ. ჯერ საკუთარი ერი, საკუთარი ხალხი, ქვეყანა მოსპეს და ეხლა ჩვენზე მოაქვთ იერიშები, რომ აქაც ჩააქრონ რევოლიუციონური ნაპერწკალი. გამოსავალი გზა ერთია: მუშათა კლასი უნდა შეებრძოლოს ამ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს, ერთსულოვნათ მუშათა კლასმა არ უნდა შეითვისოს ის აზრი, რასაც დღეს ავრცელებენ იგივე პროვოკატორები ნაციონალისტები, თითქოს ისინი, ვინც ჩვენზე იერიშებით მოდის ჩვენი ამხანაგები იყვნენ და სხვა. ამის მზგავსი არაფერი არ არის. პირიქით ამ გზით დამარცხებულა ყველა რევოლიუციები. მაშ მოგიწოდებთ ა აუხსნათ მოტყუილებულ გლეხებს ს არის რევოლიუციონური მოქმედება დ სად კონტრ-რევოლიუციონური, თუ თფილისის მუშათა კლასში და მოწინავე გლეხობაში დარჩება ის ტაქტიკა და პოლიტიკა, რაც გამომდინარეობს ჩვენი ცხოვრებიდან, თამამათ შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენ არ დავმარცხდებით. შემდეგ მომხსენებელი იმეორებს იმავეს რუსულათ. სიტყვის დამთავრებას კრება დიდის ალტაცებით შეხვდა ირ. წერეთელს. შემდეგ გამოდის ამ. ვორონსკი. მან წარმოსთქვა მგრძნობიარე სიტყვა, განსაკუთრებით მიუთითა საქართველოს გამოყოფაზედა რუსეთის დემოკრატიაზე მან სთქვა: რუსეთის დემოკრატიამ იცის რა პირობებში მოუხდა ქართველ დემოკრატიას გამოყოფა. პირიქით, მათ კვებავენ პროვოკაციით ბოლშევიკები ხულიგანები, ნაციონალისტები. რუსეთის მოწინავე დემოკრატიას არ უქვამს თავისი აზრი საქართველოს გამოყოფაზე არ შეეძლო ეთქვა, როგორც ზევ ვთქვი არ გასცნობია იმ მიზეზებს, მიზეზებმაც გამოიწვია გამოყოფა. ჩვე

შუნებული ვართ დიდი აღტაცებით ება ამ აქტს რუსეთის სალი მოაზე დემოკრატია, ამხ. ვოიტინსკის ავბიც დაუსრულებელი ტაშის ცეიქნა დაჯილდოებული. კრებამ მიირეზოლიუცია შემდეგი გავითვალისთ რა სირთულე მიმდინარე მომენა, ჩვენ პირველ და მეორე რაიონის რები, განვაგრძობთ ჩვენ რევოლიუონურ ბრძოლას სასტიკ ფორმებში ლა მთავრობას მიღებულ ზომებს რქიის წინააღმდეგ და სახელმწიფოს ქნის შესახებ საჩქაროთ გავატარებთ ოვრებაში". საჭიროა ასეთი კრებები ელა რაიონებში.

ხ. თევზაძე

სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში. 5 ივლისს საგანგებოთ სოხუმის ლქში გაგზავნილმა ამხ. გ. ანჯაფარიძემ მოხსენება გააკეთა ეროვნულ საბჭოს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში სოხუმის მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელი ვრცლად შეეხო სოხუმის ოლქში „ბოლშევიზმის" უარყოფითი მხარეებს. ამ უკანასკნელ დროს ბოლშევიკებს ბუღიათ გაგრა-გუდაუთი და სოხუმს ემუქრებოდენ, მაგრამ მაზნიაშვილის რაზმმა აიღო გუდაუთი, გაგრა და სოჩა-ტუაპსეს ასაღებად მიიწევს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გენ. მაზნიაშვილის გარშემო იყრიან თავს ანტიდემოკრატიული ელემენტები, როგორიცაა იქაური თავად-აზნაურობა, ზოგიერთი ვაჭრები და მღვდლები. ამ ელემენტების ჩვენ რაზმთან ახლოს ყოფნა მეტისმეტ ცუდ გავლენას ახდენს ადგილობრივ გლეხებზე. მათ ბოლშევიკები სულ მუდამ ჩასჩიჩინებდენ, რომ ჩვენ თავად-აზნაურების მომხრენი ვართ, ბურჟუაზიის მოსყიდულნი და როცა ჩვენს რაზმთან დაინახავს გლეხობა თავად-აზნაურებს, ისინი სავსებით დარწმუნდებიან ბოლშევიკების ნათქვამში და ჩვენს მოქმედებას ხელს შეუშლის. ახლა სოხუმის ოლქში სრული წესრიგია აღდგენილი. ეტყობა, რომ პარტიული მუშაობა არ ყოფილა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მიწის საკითხი ძლიერ მწვავეთ არის ოლქში; აბხაზეთის სათავეში არის აბხაზთა სახალხო საბჭო, რომელიც არ გამოხატავს მცხოვრებთა ნამდვილ სურვილებს. საბჭოში მარტო აბხაზებია. სხვა მცხოვრებლებს არ ყავთ საბჭოში წარმომადგენელნი. ფრაქციამ მოისმინა რა მოხსენება, დაადგინა: 1) გენ. მაზნიაშვილის ჯარისაგან ჩამოშორებულ იქნას არა სასურველი ელემენტები, 2) დაუყონებლივ მიღებულ იქნას ენერგიული ზომები სოხუმის ოლქში მიწის საკითხის მოსაწესრიგებლად. 3) მოხდეს ოთხ ფორმულიანი სისტემით სახალხო საბჭოს არჩევნები და სხვა.

მუშათა შორის

მუნიციპალურ დარგებში მოსამსახურეთა ცხოვრებიდან. ჩვენი თვითმართველობა არის წმინდა დემოკრატიული, რომლის შექმნაში დიდი ბრძოლა და ენერგია დასჭირდა დემოკრატიას. ჩვენ ვიცით მისი სამოქმედო პოლიტიკური და ეკონომიური პროგრამა, რომლის განხორციელებისათვის დიდი ენერგია სჭირდებათ ამომრჩევლებთან ერთად, მაგრამ ბევრი რომ მაინც ვერ გავაკეთეთ და გაისმა საყვედურები პირველ ყოვლისა იმ ხალხში, რომლებსაც ძალიან ცოტა ან სრულებით არაფერი წარმოდგენა არ აქვთ დღევანდელ საერთო ომით გამოწვეულ პირობებზე. გაიგონებდით, წარსულში და მით უმეტეს დღეს—რა მოგვცეს, მოგვატყუილეს და სხვა. ეს სიტყვები რომ გესმით ეგრედ წოდებულ „ობივატელისაგან" ასე თუ ისე ურიგდები, მაგრამ როცა ამას იმეორებს ვითომდა რევოლიუციონერი მუშები, რომლებიც მუნიციპალურ დარგებში მუშაობენ: ეკითხები შენ თავს: რა მოხდა, რამ აალაპარაკა ეს მუშები. ნუ თუ მართლა ღირსია საყვედურის. არა, მიზეზი სულ სხვაა. ჩვენ ვიცით რანაირი მემკვიდრეობა დაუტოვა ძველმა ქალაქის მამებმა ახალ თვითმართველობას. ეს ერთი. მეორე. ჩვენი მუშები ერთი ნაწილი გლეხური ფსიხოლოგიიდან ვერ განთავისუფლდა. თავისივე ამხანაგს ამოირჩევენ და მიანდობენ რაიმე საქმის გაკეთებას და მეტი არაფერი. თუ გაბედნიერდი, შესძლო ყველა მათი მოთხოვნილების შესრულება, ხომ კარგი. წინააღმდეგ შემთხვევაში დაიმსახურებთ სახელს მოღალატისას ძველი დროისას და სხვა. აი ასეთ პირობებში უხდება დღეს მუშაობა ყველა ჩვენ ორგანიზაციებს, მათ შორის, ქალაქის თვითმართველობასაც. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ქვემოთ მოყვანილ დარგებში შრომის პირობები. ქალაქს აქვს წყალსადენი, განათების სადგური, სასაკლაო, ტრამვაი და სხვა, ერთ და იმავე ხელოსანს სპეციალისტს ნათქვამ დარგებში მუშაობა უხდება სხვადასხვა პირობებში, რაიც იწვევს მუშაობაში დიდ არევ-დარევას. ძველ ქალაქის მამებს ასეთი პირობები თავიანთ სასარგებლოთ მიაჩნდათ, რადგან ამით მუდამ დარღვეული იყო მუშათა ერთობა. ზედმეტიც იყო ერთობაზე ლაპარაკი. წყალსადენის მემანქანე მუშაობს 8 საათს განათების კი 7 ან 9 საათს. პირველი ღებულობს დღიურ შრომის ფასათ 15 მანეთი, მეორე 10 მ. ასეთი განსხვავება მოვიყვანეთ მაგალითისთვის. ასეთი წესი დაუშვებელია ერთი „ხაზინის" კუთვნილ წარმოებაში, ამ არა ნორმალურ პირობებს დემოკრატიულმა ახალმა თვითმართველობამ მიაქცია სათანადო ყურადღება და ცდილობს გაათანასწოროს მუნიციპალურ დარგებში მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობები. უნდა აღვნიშნო ერთი მუხლი, რომლის მოწესრიგებას მეტი ყურადღება მიექცა. ტრამვაის მამოძრავებელ სადგურში, განათების სადგურში, სასაკლაოში და ტრამვაის სახელოსნოს მიმდინარე რემონტში არის მორიგეობით მუშაობა დღე-ღამ განუწყვეტლივ. მუშაობა კი სხვადასხვა დროით განისაზღვრება. ტრამვაის სადგურში და მიმდინარე რემონტში პირველი მორიგი მუშაობს 8 საათს, მეორე 7 საათს, მესამე 4 საათს, განათების სადგურში 8 ს., სასაკლაოში სამივე მორიგი რვა რვა საათს მუშაობენ. ამის მოწესრიგება გადაეცა მუშათა პოლიტიკურ და ეკონომიურ ორგანიზაციებს და მათ ყველასათვის მისაღები დადგენილება გამოიტანეს, ე. ი. პირველი მორიგი მუშაობს 8 საათს, მეორე 7 საათს, მესამე 6 საათს, მაგრამ ერთი ნაწილი მუშების არავითარ გადაწყვეტილებას და არსებულ პირობებს ანგარიშს არ უწევენ და გაიძახიან: ჩვენ 4 საათის მუშაობა სისხლით მოვიპოვეთ, თუ გინდათ გათანასწორება, შემოიღეთ ყველგან 4 საათის მუშაობა, მეტს არ ვიმუშავებთ არ ვსცნობთ გადაწყვეტილებას და სხვა. მიუხედავათ იმისა, რომ ასეთი სამუშაო დრო არსად არ მოიპოვება. არც იტყვის ცოტათი მაინც გაცნობილი მუშა ჩვენს ტეხნიკურათ განუვითარებელ ქვეყანაში ასეთ აბსურდს. მაგრამ ჩვენს ბევრ მუშებს მაქსიმალისტური შეხედულება აქვს როგორც ბოლშევიკებს. რუსეთის რევოლიუციას სოციალიზმი მოსთხოვეს, რის მოცემა დღევანდელ პირობებში არ შეიძლებოდა. ასევე ითქმის აქაც. ჩვენი წარმოება და მოვალეობის შეგნება 4 საათის მუშაობას ვერ აიტანს და ამიტომ ეს ყალბი უტოპიური შეხედულება უკუვაგდოთ. განსაკუთრებით ტრამვაის ზოგიერთ მუშების შეხედულება ასეთია, ჩვენ რასაც ვიტყვით, სავალდებულოა. სხვისთვის სხვანაირათ რომ ვთქვათ, კანონმდებლათ მოაქვთ თავი. მოხდა კრება ტრამ. სახელოსნოს მუშებისა, რომ გაეცნოთ დადგენილება, რომლის შემუშავებაში ღებულობდენ მონაწილეობას წევრები მუშათა საბჭოს პროფესიონალური კავშირების, შრომის სამინისტროს და ბირჟის. უმეტესობამ არ მიიღო ჩვენი შექმნილი ორგანიზაციების გადაწყვეტილება, იყო ხმები ჩვენ არ ვიცნობთ, უჩვენოთ რატომ გადასწყვიტეს. მიუხედავათ იმისა, რომ ეს კომისია ყველა მუშების და ქალაქის თვითმართველობის თანხმობით იყო მოწვეული. რადგანაც პირველმა კრებამ ვერაფერი ვერ მოიტანა, მოწვეული იქნა მეორე კრება დიდი მტკიცება დასჭირდა მოწინავე მუშებს, მაგრამ მაინც არ იქნა მიღებული ისე, როგორც იყო წარმოდგენილი. შეიტანეს შესწორება: 4 საათი შეცვალეს 5 საათად და დაუბრუნეს კომისიას მეორეთ გასარჩევათ. მე კი საჭიროთ მიმაჩნია კომისიის წინანდელი გადაწყვეტილება იქცეს კანონათ, რადგანაც ყველა მუშების წარმომადგენლებმა მიიღო მონაწილეობა. მოწინავე მუშების ვალია აუხსნან იმ მუშებს, რომლებიც არაფერს ანგარიშს არ უწევენ, რომ საჭიროა წესი—ნორმა, საზოგადოთ საჭიროა მუშათა ორგანიზაციების ცნობა რომლის გარეშე არც ერთს მუშას არ შეუძლია არსებობა. დროა დავიწყოთ შენება, ვიკმაროთ ნგრევა, თორემ ნანგრევებს ქვეშ ჩვენ მოვყვებით და რომ ასე არ მოხდეს, გავამაგროთ ჩვენი ორგანიზაციები, გავეცნოთ პოლიტიკურ და ეკონომიურ კითხვებს სახალხო უნივერსიტეტებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინც ასე არ მოიქცევა, არ განიშორებს თავიდან უტოპიურ შეხედულებას, დეე, გადაიბარგონ ანარხისტ ბოლშევიკებში, სადაც თავისუფლათ შეუძლიათ აწარმოვონ ანარქისტული პოლიტიკა და ეკონომიკა.

ხ—თ—ძე.

პროვინცია

სად. სანაინი. საქართველოს რესპუბლიკის ჯარმა პოლკოვნიკ ჩხეიძის მეთაურობით, გასწმინდა საქართველოს ტერიტორია სად. სანდარიდან სად. კობერამდის იმ მუსულმანთა ბანდებიდან, რომელიც მოიწევდა თფილისისაკენ. ამ ბანდებს მეთაურობდენ ბრძოლაში როგორც ასკერები (ჯარისკაცები) და ოფიცრები ოსმალეთის რეგულიარული ჯარიდგან, ისე ველური დივიზიის ოფიცრებიც. მათ ზურგს უმაგრებდა ოსმალეთის მთავრობა ჯარით და სხვა საშუალებით. ბრძოლის დროს დაჭრილ-დახოცილებს ეზიდებოდენ ალექსანდროპოლიდან გამოგზავნილი მატარებლით. დიდი წინააღმდეგობა გაგვიწიეს ხრამის ხიდთან, შულავერთან, სადაც მათ საგრძნობი ძალა ჰყავდათ და კარგა გამაგრებულიც იყვნენ. აქ დიდი გმირობა გამოიჩინა მეშვიდე პოლკის მეშვიდე როტამ, რომელიც თოფებისა და ტყვიისმფრქვევლების ცეცხლის ქვეშ მთელმა როტამ გმირულათ გასცურა მდ. ხრამში და შეურჩევლივ ფეხდაფეხ დაედევნა ძლიერ მტერს, რამაც განცვიფრებაში მოიყვანა ჩვენ გვერდით მყოფი გერმანელები. აქ ბევრი ვნახეთ დახოცილი ასკერები. ეხლა ჩვენ ვიმყოფებით სად. სანაინში. აქ ბევრ არა სასურველ მოვლენებს აქვს ადგილი. ბბ. ოფიცრები მცირედის გამოკლებით ისეთ საქციელს გვიჩვენებენ, როგორც ნიკოლოზის რეჟიმის დროს იყო. აქაურ კომენდანტის განკარგულებაში არიან ე. წ. „პოლიციელ"-ები, რომელთაც ის უკარნახებს თოფის კონდახით ცემას იმ „ვოლნ"-ებს, რომელნიც სადგურის წინ გაჩერდებიან. 1 ივლისს ასეთ მაგალითს ჰქონდა ადგილი: პრაპორშჩიკმა რ—მ, როდესაც ის კომენდანტის მოვალეობას ასრულებდა, ისე ძლიერათ დაარტყა მათრახი სადგურის წინ მყოფ ერთ სომეხს, რომ საცოდავი გულწასული კიბეზე წაიქცა. ასეთ თვითმპყრობელურ რეჟიმს ამ რაიონში მასიური ხასიათი აქვს მიღებული. მე მგონია, რომ ჩვენმა ნორჩმა რესპუბლიკამ შეინარჩუნოს თავისი არსებობა, საჭიროა მან დაიმსახუროს მის ტერიტორიაზე მოსახლე სხვა ეროვნებათა ნდობა და სიყვარული. წინააღმდეგ შემთხვევაში ანარქიას ვერ მოვსპობთ და გაღვივდება ეროვნული შუღლი და მტრობა.

ამიტომ მე საჭიროთ მიმაჩნია ასეთ ადგილებში მთავრობამ დანიშნოს თავისი წარმომადგენლები, რომელნიც ყურადღებას მიაქცევენ ასეთ მოვლენებს და დაიცავენ დემოკრატიის ინტერესებს.

ჯარისკაცებში უაღრესათაა განვითარებული კარტისა და კამათელის თამაში, რომელსაც არავითარ წინააღმდეგობას არ უწევენ უფროსები. უგაზეთობის გამო გლახა მდგომარეობაში ვართ. ახალ ამბებს მოწყვეტილი ვართ, მხოლოდ ხანდახან შემთხვევით ჩაგვივარდება გაზეთი ხელში თფილისიდან ჩამოსულებისაგან. შესაძლებელია საგანგებოთ გამოჰყვეს მატარებელს გაზეთის დამტარებელი. გაზეთი ბლომათ გასაღდება თფილისიდან აქამდე სხვადასხვა სადგურებზე.

შურდული.

საჯევოხო (გურია). საჯევოხოში ცუდი ჰაერია, რის მიზეზი ის არის, რომ ეს კუთხე სამხრეთით დაჭერილია გორაკებით, რაც ხელს უშლის ჰაერის გაშლას. რაც შეეხება კულტურულ მხარეს, ცუდად არის, სამკითხველოს შენობა არ ვარგა, საჭიროა მეტი უნარი და ფხა ამ საზოგადო საქმეში და სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ყოველივე ეს მოგვარებული იქნება ადგილობრივ შეგნებულ პირთა მეცადინეობით, არავითარ კინკლაობას და დავას არ უნდა ჰქონდეს აქ ადგილი. 23 ივნისს აქ რამოდენიმე პირთა მეცადინეობით გამართულ იქნა წარმოდგენა აქაურ სამკითხველოს სასარგებლოთ. სცენა და საზოგადოთ დარბაზი, სადაც წარმოდგენა გაიმართა, საუცხოვოთ იყო მორთული, ითამაშეს ახალგაზრდა სცენის მოყვარეებმა და თავიანთი როლი რიგიანათ შეასრულეს. ხალხი წარმოდგენას ბლომათ დაესწრო და ნასიამოვნები დარჩა. სისუფთავის მხრით ეს კუთხე არ არის საქები, ქუჩები უსუფთაოა, დუქნების უკანა ადგილები დიდი სიბინძურით არის მოცული, რაც წამლავს ადამიანს. ამას ყურადღება მიაქციეს ჯარის-კაცებმა და რამოდენიმეთ სისუფთავე აღდგენილ იქნა. საჭიროა ამას მიექცეს დიდი ყურადღება, თუ არ გვინდა გაჩნდეს რაიმე სნეულება. აქ არის პუნქტი, სადაც თავს იყრის ჯარის სხვა დასხვა ნაწილი; ჯარის შეჯგუფება და სისუფთავეზე არ ზრუნვა შეუძლებელია. აქ არსებობს მომხმარებელი საზოგადოება, სადაც საქმე წესიერათ მიმდინარეობს, მხოლოდ სავალალოა, რომ ამ საზოგადო დაწესებულებას სისუფთავე გარეშემო ნაკლები აქვს.

ჯ. ქ. სიმონ ჯორბენაძე.

დიდი ჯიხაიში. დიდი ჯიხაიშელი ხალხი, უსიმინდოთ დარჩენილი, დიდ საგონებელშია ჩავარდნილი, მაგრამ რამდენათ უსიმინდო, უიმედო ხალხი ტანჯვაწამებას განიცდის, ასჯერ მეტ სიამოვნებას გრძნობენ სინდისზე ხელ-აღებული გაუმაძღარნი სიმინდის გამყიდველები, რომლებმაც რაღაც მანქანებით, მოასწრეს და სიმინდის ჩამორთმევის დროს მიმალეს სადღაც; დღეს, როდესაც მოგროვილი სიმინდი გათავდა, სიმინდის მქონე ამაყათ დიდგულათ ამბობს: „სიმინდი რომ არ მოეგროვებიათ, ასე არ გაძვირდებოდაო"!

დღეს 6—7—8 თუმანს თუ მისცემ ჩუმათ, სიმინდი ბევრია. მიკვირს საიდან დაიბადა?

თუ გაქვს ფული ხომ კარგი, თუ არა და მოკვდი შიმშილით. რას დაგიდევს სიმინდის მეპატრონე. თითონ ხომ კუჭი მაძღარი აქვს, ფულიც ბევრი. საქმე ის არის, რომ სიმინდს ყიდულობს ომში დახოცილის ცოლ-შვილნი, მშობლები და არა ხევები, სოფლის მასწავლებლები, რომლის ჯამაგირები სულ იყიდოს 3 ფუთს მეტს არა და ეს სამი ფუთი ეყოფა თუ არა კითხვა ამაშია. უბედურება არის სწორეთ ასეთ უსამართლობას ხედავს კაცი და შიშით ხმა ვერ ამოგიღია.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ასეთ უსამართლობას.

მიუდგომელი.

ერკეთი. (გურია). ამ დღეებში, მოხდა ერკეთის საზ. აღმასრულებელი კომიტეტის რეორგანიზაცია და არსებული თავ დაცვის კომიტეტის მსგავსი უმეცესი ძალა-უფლება-გადავიდა აღმ. კომიტეტის ხელში; 23 ივნისს შესდგა ახლად არჩეული ერკეთის საზ. აღმ. კომიტეტის კრება. კრებას დახწრო მთელი შემადგენლობა კომიტ. წარმომადგენლებისა; კრება გახსნა ამხ. ფოკა ცქვიტინიძემ. პირველად კრება ირჩევს აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმს 5 კაცისგან შემდგარს. მათ-შორის მუდმივ თავჯდომარეს ამხ. ვლასი მამალაძეს, მდივნად ან. ანთიძეს. დღის წესრიგში დაისვა შემდეგი კითხვები: კოოპტაცია, დატყვევებული კომუნისტის გასამართლება, რეკვიზიცია სიმინდის საბალახო მთების შესახებ, ანგარიშების გასწორება ყოფილ. კომისართან ადგ, სამართველოში, წყლის დაკეტვა ს ბასილეთში. და სხვ..... კრებამ საჭიროდ სცნო აღმას. კომიტეტში მოწვეულ იქნეს ამხ. არჩილ კეკელიძე და მიხაკო შარაშიძე. მეორე კითხვაზე ბრალმდებელ—ბრალდებულის შეკითხვების შემდეგ აღმ. კომიტეტმა შვიდი დღით დააპატიმრა სანდრო ის. შარაშიძე თავის ხარჯით დაბა ჩახატაურშიდ, როგორც პროვოკატორი და შეუმოწმებელი ხმების გავრცელებისათვის და წითელი გვარდიელების შეურაცყოფის მიყენებისათვის. სიმინდის რეკვიზიციის მოსახთე ად კრებამ მიიღო ყველასათვის მისაღები დადგენილება. საბალახო მთებზედ საიმედო პირების გასაგზავნად კრებამ დაასახელა სურველი პირები და გაგზავნა მწყესებად, მხოლოთ საქონლის მეპატრონე იხდის სასყიდელს მოვლისათვის იმის და მიხედვით, თუ რამდენი ღირს ესა თუ ის ძროხა და ან ცხენი.

ბდგ. სამართველოში ანგარიშის გასწორება ყოფილ კომისართან დაევალა-სისრულეში მოსაყვანად საგანგებოთ არჩეულ კომისიას. ბასილეთში წყლის გახსნის შესახებ კრებამ დაადგინა ეთხოვოს სარაიონო აღმ. კომიტეტს, რათა ჩახატაურის საუბნო კომისრის დახმარებით, თანახმად ხალხის მოთხოვნისა ერთხელ და სამუდამოთ გახსნილ იქნეს ე. წოდებული "დაკეტილი წყალი".

ერკეთელი.

წერილი რედ. მიმართ

ბაკურიანი, ბაკურიანის ხეობაში თავი მოიყარეს დიდძალ ლტოლვილებმა. ბევრი მათგანი აუტანელ მდგომარეობაში: აღარაფერი არ აბადიათ—არც პური, არც ჩასაცმელი და არც საქონელი; თათრების ბრბოებს ყველაფერი წაურთმევიათ. ასეთ მდგომარეობაში იმყოფებიან ახალციხის მაზრიდან გამოქცეული გლეხები. ჯავახელები კი შედარებით უფრო კარგათ არიან. თითქმის ყველას წამოუღია რამდენიმე კვირის ს ყოფი ფქვილი და ხორბალი პური, მაგრამ დაფქვა ძალიან უძნელდებათ, რადგანაც წისქვილები საყოფი არ არის; წამოუსხამთ ცხვარ-ძროხაც და აძოვებენ ტყეში. იმედი აქვთ დაბრუნებისა და საქონელს ინახავენ. სომხების მეტი ნაწილი კი საქონელს ჰყიდის, ჯავახეთის და მესხეთის ქართველების უკან დაბრუნება აუცილებლათ უნდა მოხერხდეს ივლისის შუა რიცხვებამდის, რადგანაც იქ დატოვებულია დაფესილი მინდვრები და, თუ გლეხებმა მიუსწრეს ჰყრანახულის მოსვლას, მხოლოთ მაშინ მიეცემათ მათ საშვალება იცხოვრონ ძველ ადგილებზე. თუ დაბრუნდნენ გვიან, ან სულ არ დაბრუნდნენ, მაშინ ჩვენ სამშობლოსთვის თავდადებულ გმირებს მოელის სიმშილისაგან სიკვდილი. ჩვენ მთავრობამ ამას უნდა მიაქციოს დიდი ყურადღება. როგორც გადმომცეს, ჯავახელ გლეხებმა, (რის მოწმეც მე თვითონ ვიყავი 19 ივნისს) თურმე ბაკურიანის ტყეებში თავს იყრიან ბევრი ნაძირალები, რომლებიც ღამე იპარავენ საქონელს და მიყავთ სხვა და სხვა სოფლებში. ივნისის 19-ში მე ვნახე საკოჯავის ზემოთ შეიარაღებული ხულიგანები ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილნი, რომლებიც დახეტიალობდნენ ტყეში და დღე-ღამ განუწყვეტლივ უთავბოლოთ ისროდნენ და არ აძლევდნენ მოსვენებას საწყალ ჯავახელებს. იმ დღეს ერთ გლეხს მოპარეს ცხენი. ასეთი „გმირები" ავრცელებენ ხმებს ლტოლვილთა შორის—თქვენ უკან არავინ დაგაბრუნებთ, რაც საქონელი გყავთ, ჩამოგართმევენ, ან თათრები მოვლენ და წაგართმევენ, სჯობს ეხლავე დაყიდოთო და სხვ. ამით ისინი სარგებლობენ და იაფ ფასათ აყიდინებენ ზოგ გლეხს საქონელს. ლტოლვილთა შორის არის გავრცელებული ავადმყოფობა, ბევრი მათგანი გაცივებულა, ნამეტნავათ ბავშვები; არ აქვთ ტანთსაცმელი; ცხოვრობენ უსუფთაოთ, ამ მხრივ საჭიროა დახმარება.

ხ. ჯავახელი.

ექიმი ა. დ. ციციშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

ექიმი ვ. კლდიაშვილი.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4. კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კიროჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში იღებს ყოველ-დღეს 12—2 საათამდე.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 17—49.

ექიმი ლ. ი. ცაგარელი.

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ.—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგიევის ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—82.

სამკურნალო კაბინეთი

ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმ რო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—26

ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-საბაშვილისა

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მეანო-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ-დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82 ტელ. № 9—26.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტის შინაგან საბავშვო, საზებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველდღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილ. 9—10 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით

ექიმი ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დამისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ექიმი ვ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სჯანიშვილისა. ტელ. № 5—77.

გაიხსნა თვალის სამკურნალო

(მუდმივი საწოლებით)

პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის კლინიკის ყოფილი ასისენტის

ექიმ დონხინისა.

იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილის 9—1 საათ. და საღ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდში"

ოთხშაბათს 10 მკათათვეს 1918 წ. „ქართველ მომღერალთა გუნდი"

მიხეილ კავსაძის ლოტბარობით მართავს 3 გამყოფილებათ

სახალხო კონცერტს

გუნდი შეასრულებს ძველ სახალხო სიმღერებს გადაღებული ძველ მუსიკოსების მიერ და სხვათა შორის „თამარ ქალი"-ს. მონაწილეობენ ძმანი კავსაძენი. ლ. ჯანდიერი, ი. სალირაშვილი, ი. უსტიაშვილი და სხვ. დასაწყისი სრულ 8 ნახ. საათზე. ბილეთები იყიდება კასაში. დაწვრილებით პროგრამებში.

(2—1) გამგე ნიკო კავსაძე.

მოითხოვეთ სამკურნალო

ბორჯომის წყალი

ერთად-ერთი წარმომადგენელნი მიწათმოქმედების სამინისტროსი ბორჯომის წყლის ექსპლოატაციისა, ამით აუწყებს ბითუმათ („პარტიობით") მყიდველებს, რომ ფასდადებით და ნისიათ წყალი არავის გაეგზავნება. ვაგონების დაუყონებლივ მოწოდება უზრუნველყოფილია.

მისამართი: ბორჯომის კანტორა, „ბორჯექსპორტი". (15—6)

სამხედ. რკ. გზების მოსამსახურეების საყურადღებოთ

სამხედრო რკინის გზების მმართველობის მუშები და მოსამსახურენი, რომლებსაც არ მიუღიათ სრულად ანგარიში თავიანთ სამართველოსაგან და ამ ჟამად სცხოვრობენ ქ. თფილისში, ვალდებული არიან 8, 9 და 10 ივლისის განმავლობაშ ჩაეწერონ შრომის სამინისტროს კომისიაში (პეტრე დიდის ქ. № 8) დილის 9—1 საათ. და საღამოს 6—8 საათ.

ჩაწერის დროს აუცილებელია წარადგინონ პიროვნების შესამოწმებელი და რკიინის გზაში ნამსახურობის მოწმობა. ცოლშვილიანებმა უნდა წარადგინონ აგრეთვე დასამტკიცებელი საბუთი, რომ მათი ცოლშვილი თფილისში იმყოფება. (2—1)

განცხადება

სასურსათო განყოფილების, ტყავის განყოფილება აცხადებს ყველას საყურადღებოთ, რომ ოთხშაბათს, 11 ივლისიდან დილის 9—1 საათამდე ფირმა „პროვოდნიკში" (სოლომონის ქ.) სასურსათო ბარათებით გაიყიდება ქ. თფილისის მცხოვრებლებთათვის საშუალო ზომისა ფეხსაცმელი „სანდლები" „სკოროხოდის ფირმისა. (3—1)

თფილისის სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოება

სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებასთან (მიხეილის პრ. № 91) იხსნება 3 თვიური პროფესიონალურ კავშირების საქმეთა შესასწავლი

კურსები

მეცადინეობა საღამოთი; სამჯერ კვირაში მსმენელთა რიცხვი განსაზღვრულია. გადასახადი კურსისა—25 მან. მეცადინეობა დაიწყება—მიმდინარე წლის 5 ივლისიდან. ჩაწერა შეიძლება სახალხო უნივერსიტეტის კანცელარიაში (მიხეილის პროსპ. № 91) დილ. 10—2 საათ. და საღ. 5—9 საათ., აგრეთვე პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში (პეტრე დიდის ქ. № 18, ოთახი 26) დილის 11—2 საათ. და საღ. 6—8 საათ.

საკონსულტაციო-დიაგნოსტური კაბინეტი

ყოველგვარი ავადმყოფებისათვის

დოქტორ ბ. ვ. ბარხუდაროვისა.

კაბინეტთან სდგება კონსილიუმი ექიმ სპეციალისტებისა, ავადმყოფთა წინდაწინვე მომზადებით.

მუდმივი კონსულტანტები:

ა. ა. არუთინოვი,
ნ. მ. ასპიროვი,
ნ. ნ. ვესელოვზოროვი,
ტ. ი. გეორქ ბეგიანი,

ი. ზ. გოფაძე,
ა. ა. ზარგარიანცი,
გ. მ. მაკაროვი,
კ. ლ. მარკევიჩი,

მ. ე. მზარეულოვი,
გ. ს. პონდოევი,
ა. რ. ფიშერი,
გ. მ. ჩაჩიკიანი,
ხ. პ. შახ-პარონიანი.

ავადმყოფთა სურვილის თანახმად კონსილიუმზე მოწვეულნი იქნებიან მათ მიერ დასახელებული სხვა გარეშე ექიმებიც.

ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე დილის 11—1 საათ. საღ. 5—7 საათ.

აბასაბაცკის მოედანი № 5 (ერევნის მოედ. ახლო) ტელეფ. 14—63. 100-9

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.